სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის
კომიტეტი

ბ. ჯუმბურიძე

სოციალური დაზღვევა საქართველოში

ფრუნზა

ბ. ჭუმბურიძე

სოციალური დაზღვევა საქართველოში

ლ. ელბაქიანის წინასიტყვაობით

ფ რ ო ბ ა
1929

კავკ. წ.-დრ. ჯარის სტამბის
— განყოფილება. —
ტფილისი, გორკის ქ. № 1
— მთავლ. № 982 —
შეკვ. № 1835—ტირ. 1.500

წინასიტყვაობა

ამჟამად სოციალური დაზღვევა მთელ მუშათა კლასისათვის მძლავრ ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, იგი ორ ძირითად მიზანს ისახავს: ერთის მხრივ სოციალური რისკის შემთხვევებში დაქირავებით მომუშავე პირთათვის საცხოვრებელი დონეს შენარჩუნებას. ხოლო მეორეს მხრივ—თვით დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკურ კეთილმდგომარეობის დაცვას. პირველ ამოცანას დამზღვევი ორგანოები ასრულებენ პენსიისა და სხვა ფულადი დახმარებების აღმოჩენით, ხოლო მეორე ამოცანის გადაჭრა ხდება პროფილაქტიური ღონისძიებების მიღებით (დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და სხვ.) და აგრეთვე საექიმო-სამკურნალო დახმარების აღმოჩენით.

ამნაირად, სოციალური დაზღვევის როლი და მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის უაღრესად დიდია. და როცა მოჰყავთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა დაზღვეულთა დაავადების, ინვალიდობის, უმუშევრობის, მშობიარობის, გარდაცვალების და სხვა შემთხვევები წლითი-წლობით, ეს ცნობები იმის მაჩვენე-

ბელია თუ რა და რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობაში, მათ ცხოვრებაში. ამიტომ ამ ციფირების ენა უნდა იყოს მარტივი და გასაგები არა მარტო სოციოლოგთათვის, სტატისტიკოსთა, ეკონომისტთა და საერთოდ მეცნიერთათვის, არამედ, ეს ციფირები, რომელნიც მოგვითხრობენ მშრომელთა ყოფა-ცხოვრების ამბებს, უპირველეს ყოვლისა გასაგები და ხელმისაწვდენი უნდა იყონ თვით დაზღვეულთათვისაც. ამ ციფირებში ისე, როგორც სარკეში, მუდამ უნდა დაინახოთ, როგორც სოციალური რისკის შემთხვევებში თავისი ნივთიერი კეთილმდგომარეობა, ისე ფიზიკური ჯანმრთელობის მსვლელობა.

მოკლეთ, ჩვენი დამზღვევი ორგანოების ცხოვრებით სოციალური დაზღვევის ისტორიით დ მისი აწმყო მდგომარეობით დაინტერესებული უნდა იყვნენ მშრომელთა ფართო მასსები, ვინაიდანსო ციალური დაზღვევის ისტორია არსებითად ეს არის თვით მუშათა კლასსის ბრძოლისა და მიღწევათა ისტორია.

მაგრამ არის თუ არა ეს ასე, არის თუ არა დაზღვევის განათლების საქმე დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, არიან თუ არა მშრომელთა ფართო მასსები დაკავშირებული დაზღვევის ორგანიზაციასთან, უჩენენ მას სათანადო დახმარებას? სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ასე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ დღეს სოციალური დაზღვევა დაქირავებით მომუშავე პირთა თითქმის მთელ კონტიგენტზეა გავრცელებული. დაზღვევის განათლების

საქმე ფრიად სუსტად არის დაყენებული და მუშათა ფართო მასსები ჯეროვანად არ არიან დაინტერესებული სოციალური დაზღვევის საკითხებით.

რომ არსებობს დაზღვევის ორგანიზაცია, საიდანაც შეიძლება სოციალური რისკის შემთხვევებში (ავადმყოფობა, დასახიჩრება, ინვალიდობა, უმუშევრობა და სხვ.) ფულადი დახმარების მიღება, ეს თითქმის ყველა, როგორც მოსამსახურემ, ისე მუშამ იცის, მაგრამ თუ როგორია ამ ორგანიზაციის სტრუქტურა, რა და რა დაბრკოლებები ეღობებათ წინ დამზღვევ ორგანოებს, საიდან ღებულობენ სახსრებს, როგორი საზოგადოებრივი და მორალური ხელის შეწყობა ესაჭიროებათ ამ ორგანოებს ყოველდღიურ საქმიანობაში. აი, ამ კითხვებით ცოტანი არიან დაინტერესებული.

ეს შეეხება არა მარტო პროფკავშირთა წევრებს, ამ საკითხებზე სათანადო წარმოდგენა არა აქვთ პროფკავშირთა თვით ხელმძღვანელ პირებს, საქარხნო კომიტეტის წევრებიდან დაწყებული, კავშირების ცენ. გამგეობით გათავებული.

ამის მიზეზები მრავალია. ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეპოქას, რომელიც დაუდეგარია და სავსე სიურპრიზებით და წინააღმდეგობებით, მუშათა კლასსის ყურადღება გადააქვს სხვა საკითხებზე, სხვა ამოცანებზე. პროფაქტივი უაღრესად დატვირთულია ყოველდღიური პროფესიონალური მუშაობით და აღარ რჩება საკმაო დრო, რომ მეტი ყურადღებით მოეპყრას სოციალური და-

ზღვევის საკითხებს. და თუ ამავე დროს მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქართულ ენაზე სოციალური დაზღვევის შესახებ თითქმის არ მოგვეპოება ლიტერატურა, ჩვენთვის აშკარა ხდება, თუ რატომ მოისუსტებს ჩვენში დაზღვევის განათლების საქმე.

აშკარაა, რომ დაზღვევის განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული. ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდება მრავალი გზით და მიმართულებით მუშაობის წარმოება. საჭიროა სოციალური დაზღვევის შესახებ უფრო ხშირად მოხსენებების გაკეთება მუშათა კრებებზე. უნდა გამოვაცოცხლოთ ჩვენი მუშაობა დაზღვევის დელეგატებს შორის. მოწყობილი უნდა იქნეს წრეები წარმოება-დაწესებულებებში დაზღვევის საკითხების შესასწავლად. უნდა მოვაწყოთ პროფმუშაკებისათვის სპეციალური წრეები და კურსები. მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა მეტი წიგნების გამოცემა სოციალური დაზღვევის საკითხების გასაშუქებლად. ეს წიგნები უნდა იწერებოდეს მარტივი ენით. ამ წიგნებში უნდა იქნეს გაშუქებული სოციალური დაზღვევის საქმიანობა და სოციალური რისკის ძირითად მაჩვენებელთა მოძრაობა.

ამხ. ბ. ჭუმბურიძის შრომა—„სოციალური დაზღვევა საქართველოში" სწორეთ დროულად გამოდის, რომელიც სოციალური დაზღვევის ყველა კითხვების შესახებ ღირსეულ და აუცილებელ ცნობარს წარმოადგენს.

საგნის ზედმიწევნით ცოდნა, ავტორს საშუალებას აძლევს ფრიად მოკლე და დაზღვეულთა ფაროო მასსისა-

თვის გასაგებ ენაზე, გააშუქოს სოციალური დაზღვევის ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარეები.

ეხება რა დაზღვევის თვითეულ სახეს და არკვევს თეორეტიულ და უფლებრივ მხარეებს დაზღვევისას, ავტორს იქვე მოჰყავს ციფრობრივი მასალა, რომელიც გვიჩვენებს სოციალური დაზღვევის თვითეული დარგის განვითარებას ჩვენში.

სოციალური დაზღვევის თეორიისა და პრაქტიკის ამ სახით შეხამება ამ შრომას მიანიჭებს დიდ ღირებულებას და გახდის მას ადვილად შესათვისებელ საგნად.

ამ წიგნში თქვენ ეცნობით, თუ როგორ ვითარდება და მტკიცდება წლითი-წლობით სოციალური დაზღვევის ორგანიზაცია, როგორ მიმდინარეობს დაზღვეულთა კონტიგენტის, პენსიონერთა და უმუშევართა რიცხვის ზრდა, როგორ იზრდება დაზღვევის ყველა სახეების ფულადი დახმარების ნორმები. ამ წიგნის სათანადო ნაწილში თქვენ ეცნობით დაზღვეულთა ფიზიკურ მდგომარეობას. როცა დაზღვეულთა ფიზიკურ მდგომარეობას ეცნობით, თქვენს ყურადღებას იპყრობს დაავადების თანდათანი ზრდა, რაც უთუოდ გამოიწვევს მკითხველში ერთგვარ შეშფოთებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ზოგიერთი რაიონების შესახებ (ფოთი, ოზურგეთი, ბორჯომი, ახალციხე) სადაც ანაზღაურებული დღეების მაჩვენებლები სისწრაფით იზრდებიან. სამწუხაროდ, შეუძლებელია ვიქონიოთ წარმოდგენა დაზღვეულთა დაავადების ხასიათზე, რადგან ავტორის განკარგულებაში არ მოიპოებოდა საექიმო დახმარების მასა-

ლები, რომელნიც მისცემდა საშუალებას, რათა დაავადება დაემუშავებინა სნეულებათა ფორმების მიხედვით.

სიამოვნების გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ დაზღვეულთა გარდაცვალების შემთხვევების მაჩვენებლები თანდათან მცირდებიან, რაც იმის მომასწავებელია, რომ თანდათან უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი და ყოფა-ცხოვრების პირობები.

წიგნის იმ ნაწილში, რომელიც მიძღვნილი აქვს ჩვენი დამზღვევი ორგანოების ფინანსიურ მდგომარეობას, მოყვანილია მთელი რიგი ცნობების, საიდანაც აშკარათა სჩანს, თუ რამდენათ გაუმჯობესდა საპროცენტო ანარიცხების აკრეფის საქმე. აშკარაა, ეს მიღწევა ნაყოფია, ერთის მხრივ დამზღვევი ორგანოების ენერგიული მუშაობისა, ხოლო მეორეს მხრივ—ამტკიცებს იმას, რომ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელების დამოკიდებულება სოციალური დაზღვევის მიმართ გაუმჯობესდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა ჩვენი დამზღვევი ორგანოების მდგომარეობა, საერთოთ, ფრიად საშიშარი რჩება. დაზღვევის საშუალო ტარიფი დაწესებული 1924/25 წლიდან განუწყვეტლივ შემცირებას განიცდის და 13,6%-დან 12'0%-დე დაეშვა.

ასეთი შეუჩერებელი ტემპით დაზღვევის საშუალო ტარიფის შემცირება აშკარა საშიშროებას უმზადებს სოციალური დაზღვევის შემდგომ განვითარებას.

რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ, აუცილებელია:

1. იმ საწარმოო დარგებზე, რომელნიც დეფიციტს არ იძლევიან და ამ ჟამად შეღავათიან ტარიფზე არიან მიკუთვნებული, გავრცელებული უნდა იქნეს დაზღვევის ნორმალური ტარიფი.

2. მუშურმა საზოგადოებრიობამ, პირველ რიგში კი, პროფკავშირებმა, გაცხოველებული ბრძოლა უნდა აწარმოონ სიმულიაციის წინააღმდეგ, შეეცდებიან რა ამავე დროს კვალიფიციურ საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესებას.

მოჰყავს რა ავტორს ცნობები სოციალური დაზღვევის სხვადასხვა დარგების შესახებ ჩვენში, ამ ცნობებს ადარებს ჩვენი კავშირის სხვა რესპუალიკების ცნობებთან, რაც ბევრად უფრო გაუადვილებს მკითხველს განხილულ საგანში გარკვევას.

შემდეგ ავტორი იძლევა სოციალური დაზღვევის მოკლე მიმოხილვას გერმანეთსა და ინგლისში. თუ როგორ არის სოციალურ დაზღვევის საქმე დაყენებული დასავლეთში; ამ კითხვითაც არ შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ჩვენი მკითხველი. მით უმეტეს, რომ ქართულ ენაზე დღემდე ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი წიგნი, რომელიც აშუქებდეს სოციალური დაზღვევას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ის თითო-ოროლა ნაწყვეტი ცნობები, რომელნიც ხშირათ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობებით სავსეა, თავის თავად ცხადია, ფრიად გააძნელებს ასეთი შრომის გამოცემას. მაგრამ მიუხედავად ამისა, სასურველია მოუყაროთ თავი ამ ცნობებს და ქართულ ენაზე გა-

მოიცეს, რომ ამ გზით საშუალება მოგვეცეს არ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ გერმანია—ინგლისის ცნობებით.

დასასრულ ვუსურვებთ ამხ. ჭუმბურიძის ამ ფრიად სასარგებლო ნაშრომს, რომ იგი გამხდარიყოს ჩვენი პროფკავშირთა და დაზღვევის დარგის მუშაკთათვის ყოველ დღიურ სახმარებელ წიგნად და რომ ამ ნაშრომს წილად ჰხვედროდეს მუშათა ფართო მასსებში გავრცელება.

ლ. ელბაქიანი

5/IV—1929 წ.

ავტორისაგან

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე სოციალური დაზღვევის კლასიკურ ქვეყანათ გერმანია ითვლებოდა და დანარჩენ ქვეყნების მუშათა კლასსი გერმანიის მუშათა კლასსიდან იღებდა ბრძოლის მაგალითს სოციალურ დაზღვევის თავის ქვეყანაში შემოსაღებად,—ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოციალური დაზღვევის სამაგალითო ქვეყანად—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი იქცა.

დღეს, იმ უამრავ კანონმდებლობათა შორის, რომელნიც გამოცემულია სხვადასხვა ქვეყნებში ამ 50 წლის მანძილზე,—საბჭოთა სოციალური დაზღვევის კანონმდებლობას, როგორც უზრუნველყოფის სახეების, ისე ფინანსიური სისტემისა და ორგანიზაციული ფორმების მიხედვით,—პირველი ადგილი უჭირავს. და რამდენათაც ახლოს ეცნობა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასსი ჩვენს კანონმდებლობას, იმდენათ ეს კანონმდებლობა თვალსაჩინო სტიმული ხდება იქ რევოლუციური მოძრაობისათვის.

ესუკანასკნელი გარემოება აბრთხობს მუშათა კლასსის მტრებს და რომ სახელი გაუტეხონ ჩვენს კანონმდე-

ბლობას, ასე მსჯელობენ:—მართალია, მუშათა კანონმდებლობა საბჭოთა რესპუბლიკებში იდეალურია, მაგრამ ამ კანონმდებლობას მხოლოდ დეკლარატიული ხასიათი აქვს და ცხოვრებაში არ ტარდებაო და სხვ.

ასეთი მსჯელობის საშუალებას ჩვენს მტრებს ნაწილობრივად თვით ჩვენი დამზღვევი ორგანოები აძლევენ.

უკვე 8 წელიწადია, რაც საბჭოთა საქართველოში სოციალური დაზღვევა არსებობს, ეს დრო სრულიად საკმარისი იყო, რომ გაგვეკეთებინა ჯამი იმ მიღწევებისათვის, რომელნიც ამ დარგში გვაქვს ⁄ გვეჩვენებინა, როგორც მტრებისათვის, ისე მოყვრისათვის, თუ რა გაკეთდა რეალურად ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი კანონმდებლობა მართლაც მხოლოდ დეკლარატიული ხასიათის არის, თუ მთელი 100 პროცენტით ტარდება ცხოვრებაში. ამის დამტკიცება კი შეიძლებოდა უსიტყვო ციფრებითაც, რაზედაც, სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ შეუჩერებიათ თავისი ყურადღება ჩვენს დამზღვევ ორგანი ებს.

ქართულ ენაზე ჩვენ გვაქვს მხოლოდ ამხ. ლ. ელბაქიანის ერთად ერთი ნაშრომი—„სოციალური დაზღვევის განვითარების ეტაპები საქართველოში“. მაგრამ ამ წიგნში დამუშავებული არის უმთავრესად მხოლოდ სოციალური დაზღვევის ორგანიზაციული კითხვების და კანონმდებლობათა განვითარების ისტორია. რაც შეეხება იმ კითხვას, თუ რა მოგვცა რეალურად ამ კანონმდებლობამ: როგორ ფართოვდებოდა თანდათან დაზღვეულთა წრე, როგორ მოძრაობდენ სოციალურ რისკის სხვა-

დასჩეა სახეები წლითი წლობით და როგორ უმჯობესდებოდა ამ ხნის განმავლობაში დაზღვეულთა უზრუნველყოფის საქმე, ამ კითხვების შესახებ დღემდე ჩვენ არა გვაქვს არც ერთი წიგნი.

ეს გარემოება გვქონდა მხედველობაში, როცა ამ ნაშრომის გამოცემა განვიზრახეთ.

ეს პირველი ცდა არის, როცა საქართველოს დამზღვევი ორგანოების სტატისტიკური მასალები მუშავდება წლების მიხედვით და ხდება ეს ცნობები შესადარებელ ერთეულებად.

მასალების დამუშავების და დალაგების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი მოსაზრებით:

1. მიგვეწოდებინა ამ დარგით დაინტერესებულ ორგანიზაციებისათვის სოციალური დაზღვევის მთავარ კითხვების შესახებ ცნობები, როგორც რესპუბლიკის მასშტაბის, ისე დამზღვევი ერთეულების მიხედვით.

2. სოციალური დაზღვევის კანონმდებლობას შევეხებოდით მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც ამ კანონმდებლობის ცვლალებადობა იწვევდა, როგორც დაზღვეულთა წრის, ისე მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის სხვადასხვა სახეების გაფართოებას და რამდენად ახდენდა ამ კანონმდებლობათა ცვალებადობა გავლენას სოციალური დაზღვევის რისკის მოძრაობაზე.

3. გამოგვერკვია სოციალური დაზღვევის ღირებულება და ამ ღირებულობის ხვედრითი წონა სამუშაო ხელფასის ფონდში.

ამ გეგმით შევუდექით მასალების დამუშავებას.

განზრახული გვქონდა სოციალური დაზღვევის განვითარება საქართველოში სამ პერიოდად დაგვეყო: 1. სოციალური დაზღვევა მეფის დროს—1913 წლიდან 1917 წლამდე, 2. დროებით მთავრობის და მენშევიკების დროს—1917 წლიდან 1921 წლამდე და 3. საბჭოთა ხელისუფლების დროს 1921 წლიდან 1929 წლამდე. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან პირველი ორი პერიოდის სტატისტიკური მასალები აღარსად აღმოჩნდა, ხოლო რაც შეეხება მესამე პერიოდს—1921 წლიდან 1924 წლამდე, დამზღვევი კასსების სტატისტიკური მასალა თვისების მხრივ იმდენად უვარგისი იყო, რომ მისი დამუშავება ან გადამუშავება ყოვლად შეუძლებელი გახდა.

ამიტომ იძულებული გავხდით დაგვემუშავებინა მასალები მხოლოდ 4 წლის—დაწყებული 1924 წლიდან 1929 წლამდე. მასალად ჩვენ გამოვიყენეთ დამზღვევი კასების ყოველთვიური სტატისტიკური და ფინანსიური ანგარიშები. მაგრამ, ვინაიდან ამ ოთხი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იყო შეცვლილი, როგორც სტატისტიკური, ისე ფინანსიური ანგარიშების ფორმა და ზოგიერთ შემთხვევებში თვით დაკვირვების მეთოდიც, რომ მასალისათვის ერთნაირობა მიგვეცა, იძულებული ვიყავით ეს ანგარიშები გადაგვემუშავებინა ხელმეორედ, ძველი ცნობები შეგვემოწმებინა, როცა ამის საშუალებას იძლეოდა პირველადი მასალა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვემზადებინა ესა თუ ის ცნობა გამოსაქვეყნებლად.

ამ მხრივ განსაკუთრებით არა დამაკმაყოფილებელია ცნობები დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში გაგზავნილ პირთა შესახებ. 1927 წლამდე ცნობების დამუშავება სწარმოებდა ფართო პროგრამის მიხედვით. მაგრამ 1927 წლიდან ეს პროგრამა შესცვალეს დამზღვევმა ორგანოებმა და ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ ფრიად შემოკლებული პროგრამით დამუშავებული ცნობები.

1924 წლიდან 1928 წლამდე ცნობები მოყვანილია სვანეთის დამზღვევ პუნქტის გამოკლებით, ვინაიდან სტატისტიკური ანგარიშების წარმოების საქმე ამ პუნქტმა მხოლოთ 1927/28 საოპერაციო წელში მოაწესრიგა. მაგრამ ეს ნაკლი რაიმე თვალსაჩინო გავლენას არ ახდენს მოყვანილ ცნობებზე, ვინაიდან დაზღვეულთა რიცხვი სვანეთში წინა 3 წლის განმავლობაში 185 კაცს არ აღემატებოდა.

სოციალური დაზღვევის ორგანოების სტრუქტურა და უფლება-ფუნქციები გადმოთარგმნილია შემოკლებით რუსულ ენაზე სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართვალოს მიერ გამოცემულ კრებულიდან „Справочник по вопросам социального страхования" 1928 г.

რაც შეეხება ამ ნაშრომის უკანასკნელ ნაწილს— «სოციალური დაზღვევა გერმანეთსა და ინგლისში», სტატისტიკური ცნობები ამოღებულია **დ. ფ. მარკუზონის** ნაშრომებიდან: «Статистика социального страхования» და «Наемный труд в Западной Европе». ხოლო რაც

შეეხება ფინანსიურ სისტემას ამ ქვეყნებისას, ეს ცნობები ამოღებულია „Законодательство о труде в зарубежных странах. Выпуск третий“ сост. Б. В. Эрдели. 1927 г.

ორიოდე სიტყვა ტერმინოლოგიის შესახებ.

ამ შრომის დანიშნულებას არ შეადგენს საერთოდ იმის გამორკვევა, თუ რამდენად ეგუება ქართული ენის ბუნებას, ან რამდენად სისწორით გამოხატავენ სოციალური დაზღვევის ობიექტთა შინარსს ამ ჟამად, ქართულ ენაზე ხმარებული სიტყვები. ჩვენ მხოლოდ ორი სიტყვა შევცვალეთ. პირველი—«**შრომის** უნარის დროებით დაკარგვის» ნაცვლად ვხმარობთ: მუშაობის უნარის დროებით დაკარგვას» მეორე—«დამზღვევი **სალაროს**» მაგივრად სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის იმ აპარატს, რომელიც უშუალოდ აწარმოებს დახმარებათა დანიშვნაგაცემას,—ჩვენ ვუწოდებთ—დამზღვევ **კასსას**.

შრომის უნარის დაკარგვა—ზოგადი მცნებაა და, ნიშნავს **ყოველგვარი** შრომისადმი უნარის დაკარგვას. სოციალური რისკის ის სახე კი, რომელიც იწვევს მუშაობის დროებით შეწყვეტას: ავადმყოფობის, ორსულობის, კარანტინის, ან ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლის გამო,—სრულიადაც არ ნიშნავს შრომის უნარის საერთოდ დაკარგვას. ასეთ შემთხვევებში დაზღვეული მხოლოდ პროფესიონალური მუშაობის შესაძლებლობას ჰკარგავს და ამიტომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნება, თუ საერთოდ გავრცელებული ტერმინის ნაცვლად, ვიხმართ „მუშაობის უნარის დროებით დაკარგვას“.

რაც შეეხება „დამზღვევი სალაროს“ „დამზღვევი კასსის“ სახელწოდებით შეცვლას, მხედველობაში გვაქვს ის გარეგნობა, რომ სიტყვა—„დამზღვევი კასსა“—უკვე სარგებლობს მოქალაქობრივი უფლებით, როგორც ჩვენში, ისე დანარჩენ ქვეყნებში და ამ სიტყვის „სალაროთი“ შეცვლას არავითარი უპირატესობა არა აქვს.

ამ ნაშრომში განხილული არ არის სოციალური დაზღვევის ერთ ერთი თვალსაჩინო დარგი—საექიმო დახმარების საქმე. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ საკითხის შესახებ სათანადო მასალის შეკრება, სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო, შეუძლებელი გახდა.

ბ. ჭუმბურიძე.

20 მარტი 1929 წ.

I. სოციალური დაზღვევის ორგანოები.

შრომის სახალხო კომისარიატი.

უმაღლესი ორგანო, რომელიც განაგებს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე სოციალურ დაზღვევის ორგანიზაციის საქმეს—ეს საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატია.

საკავშირო ხასიათის კითხვებს, როგორიც არის: ა) დაზღვევის ტარიფის ოდენობის განსაზღვრა და ამ ტარიფის მიხედვით დაზღვევის გადასახადის აკრეფის წესი, ბ) დაქირავებულ პირთა კატეგორიების, განსაზღვრა რომლებზედაც უნდა გავრცელდეს სოციალურ დაზღვევა, გ) დახმარებათა დ პენსიის ნორმების ოდენობის განსაზღვრა და მათი გაცემის წესი, დ) დაზღვევის ფონდების დახარჯვის რიგი და სხვ.—აწესებს საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატი და ატარებს ცხოვრებაში მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების საშუალებით.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო.

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან არსებობს სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო. საბჭოს

შემადგენლობა ასეთია: საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატიდან შედის ერთი წარმომადგენელი, რომელიც თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს. საკავშირო პროფკავშირთა საბჭო აგზავნის 4 წარმომადგენელს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—2 წარმომედგენელს და თითო წარმომადგენელს აგზავნიან ფინანსთა და გზათა სახალხო კომისარიატები. გარდა ამისა, საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით შედის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ერთი წარმომადგენელი.

სოციალურ დაზღვევის ცენტრალურ სამმართველო.

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, არსებობს სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველო, რომლის მოვალეობას შეადგენს სოციალურ დაზღვევის შესახებ გამოცემული ყველა კანონების უშუალო შესრულება. სამმართველოს სათავეში უდგას უმფროსი, რომელსაც ამ თანამდებობაზე აყენებს საკავშირო პროფკავშირთა საბჭო. სამმართველოს უფროსი აგრეთვე ითვლება შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრათ.

სოციალურ დაზღვევის ცენტრალური სამმართგელო უწევს უშუალო ხელმძღვანელობას მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისარიტებთან არსებულ სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმათთველოების მუშაობას, განაგებს სოციალურ დაზღვევის სათანადო ცენტრალურ ფონდებს, იხილავს და ადგენს დასამტკიცებლად სათანადო ორგა-

ნოების მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური დაზღვევის ორგანოების ხარჯთაღრიცხვას. იმუშავებს ფინანსიურ და სტატისტიკურ ანგარიშების ფორმებს, მათი შედგენის წესს და ცენტრში წარდგენის ვადას.

მოკავშირე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატები.

მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის საქმეს განაგებენ ამ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები. მათ უფლებებში შედის: ა) საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონების საფუძველზე გამოსცენ დადგენილებები და განკარგულებები სოციალური დაზღვევის კითხვების შესახებ, ბ) გაუწიონ ხელმძღვანელობა თავის ტერიტორიაზე მომქმედ სოციალურ დაზღვევის ორგანოების საქმიანობას, ადევნოხ თვალყური თუ რამდენად სისწორით ასრულებენ ეს ორგანოები მაღლა მდგომ ორგანოების დადგენილებებს და დირექტივებს, გ) გაუწიონ საერთო ხელმძღვანელობა სოციალური დაზღვევის ფონდების მოწესრიგებას და სხვ.

მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოები.

ისე, როგორც საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველო ითვლება სოციალური დაზღვევის შესახებ გამოცემული კანონების უშუალო შემსრულებელ ორგანოდ,

მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზედაც, სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოები, არსებობენ რა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან, ასრულებენ იმავე ფუნქციებს, რომელნიც ზემოთ გექონდა ჩამოთვლილი.

მოკავშირე რესპუბლიკებიხ სოციალური დაზღვევის საბჭოები.

მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე სოციალური დაზღვევის საბჭოები ეწყობა იმავე წესით და უფლებებით, როგორც სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი საბჭოში თავის წარმომადგენელს აგზავნის გადამწყვეტი ხმის უფლებით. გარდა ამისა, რესპუბლიკანური საბჭო იხილავს და ამტკიცებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ გამომუშავებულ გეგმას დაზღვეულთა მკურნალობის ორგანიზაციის შესახებ და აგრეთვე სამკურნალო ფონდის დახარჯვის წესს.

ადგილობრივი დამზღვევი კასები.

ძირითად უჯრედი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს დაქირავებული მუშახელის დაზღვევას და უზრუნველყოფას—ეს ადგილობრივი დამზღვევი კასსა. ადგილობრივი დამზღვევი კასსა ეწყობა ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით, რომელიც დაშორებული უნდა იყოს მეორე კას-

სიდან არა ნაკლებ ორი ვერსისა და დაზღვეულთა რიცხვიცა უნდა აღწევდეს არა ნაკლებ 2000 კაცისას. იმ რაიონში, სადაც დაზღვეულთა რიცხვი 2000 კაცზე ნაკლებია, შესაძლოა გამონაკლის შემთხვევებში დამზღვევი კასსის დაარსება, თუ მიმოსვლის პირობები განსაკუთრებით ძნელია.

დამზღვევ კასსას სათავეში უდგას პროფკავშირთა ყრილობაზე არჩეული კომიტეტი. ყოველდღიურ მუშაობას დამზღვევ კასსაში ეწევა კომიტეტის მიერ არჩეული პრეზიდიუმი, ან მისი თავმჯდომარე. ადგილობრივ დამზღვევ კასსას აგრეთვე ჰყავს სარევიზიო კომისსია, იმავე პროფკავშირთა ყრილობის მიერ არჩეული.

ადვილობრივი დამზღვევი კასსის მოვალეობას შეადგენს: ა) თავის სამოქმედო რაიონში დაქირავებული მუშახელის აღრიცხვა, მათზე სოციალური დაზღვევის გასავრცელებად, ბ) სოციალური დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების აკრეფა, გ) დახმარებათა დანიშვნა და გაცემა, დ) მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევებში ავადმყოფ დაზღვეულებზე თვალყურის დევნება რწმუნებელ ექიმების და კონტროლიორების საშუალებით და აგრეთვე ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად მისცეს მიმართულება საექიმო საკონტროლო კომისსიების და საექიმო ექსპერტიზის ბიუროების მუშაობას.

საოლქო (საგუბერნიო) დამზღვევი კასსები.

გარდა ადგილობრივი (სარაიონო და სამაზრო) დამზღვევი კასსებისა, არსებობენ აგრეთვე საოლქო, ან საგუ-

ბერნიო კასსები, რომელიც გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებსაც ადგილობრივი დამზღვევი კასსები ასრულებენ, უწევენ ხელმძღვანელობას ოლქის, გუბერნიის, ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ადგილობრივი დამზღვევი კასსების საქმიანობას.

საოლქო, სამეურნეო ან რესპუბლიკანური კასსების მოვალოებას შეადგენს: ა) ადევნონ თვალყური ადგილობრივი დამზღვევის კასსების საქმიანობას,თუ რამდენად სისწორით ასრულებენ სოციალური დაზღვევის შესახებ არსებულ კანონმდებლობას, ბ) გამოსცენ ინსტრუქციები და წესები სოციალური დაზღვევის კანონების გასატარებლად,

გ) განიხილონ ის საჩივრები, რომლებიც აღძრული იქნება ადგილობრივი დამზღვევი კასსების კომიტეტთა მოქმედების შესახებ და სხვ.

დამზღვევი პუნქტები და რწმუნებულები.

იმ რაიონებში, სადაც მუშა-მოსამსახურენი გაფანტულია პატარ-პატარა ჯგუფებათ და ეს ჯგუფები ერთი მეორისაგან დაშორებულია არა ნაკლებ 5 ვერსის მანმანძილით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ჯგუფებზე სოციალური დაზღვევის კანონების გავრცელება, ადგილობრივი დამზღვევი კასსის კომიტეტი აწყობს ან დამზღვევ პუნქტს, ან და ნიშნავს რწმუნებულს.

დამზღვევი პუნქტის მოწყობა, ან რწმუნებულის დანიშვნა დამოკიდებულია დაზღვეულთა რიცხვის რაოდენობაზე ამ უბანში. იქ, სადაც დაზღვეულთა რიცხვი არ

არის 200 კაცზე ნაკლები,—იქ არსდება დამზღვევი პუნქ-ტი. ხოლო იმ უბანში, სადაც დაზღვეულთა რიცხვი 50 კაციდან 200 კაცამდე აღწევს—დამზღვევი კასის რწმუ-ნებული ინიშნება.

როგორც პუნქტის გამგეს, ისე რწმუნებულს ნიშ-ნავს დამზღვევი კასსის კომიტეტი ადგილობრივ პროფ-კავშირის ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

დამზღვევი პუნქტის გამგის და რწმუნებულის მო-ვალეობას შეადგენს: ა) დაზღვეულთაგან სხვადასხვა სა-ბუთების მიღება და ამ საბუთების დამზღვევ კასსაში წარ-დგენა, ბ) დამზღვევი კასსიდან დამხმარებათა მიღება და ამ თანხის დაზღვეულებზე დარიგება, გ) თავის სამოქმედო უბანში არსებულ წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსა-მსახურეების აღრიცხვაზე აყვანა და დამქირავებლებიდან სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების აკრეფა.

ასეთია საერთოდ საბჭოთა სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის ორგანიზაციული ფორმა. ეს პრინციპი დაედვა საფუძვლად სოციალური დაზღვევის ორგანოების მოწყობას საქართველოშიაც, ხოლო შემდეგი განსხვა-ვებით:

1. საერთო დებულების მიხედვით, სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს სათავეში უნ-და სდგომოდა უფროსი, პროფკავშირსა საბჭოს მიერ არჩეული და ეს ერთი პირი უნდა ყოფილიყო ფაქტიუ-რი ხელმძღვანელი სამმართველოს მთელი საქმიანობისა. ვენში ფორმალურად ეს დებულება დაცული იყო, სამ-

მართველოს სათავეში უფროსი იდგა, მაგრამ ამავე დროს, არა ოფიციალურად, სამმართველოს საქმიანობას ხელმძღვანელობდა კოლეგია, რომელიც შესდგებოდა საქართველოს პროფსაბჭოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, რესპუბლიკანური სამკურნალო ქვეგანყოფილების და ტფილისის დამზღვევი კასსის თითო წარმომადგენელისაგან. კოლეგიას სამმართველოს უფროსი თავმჯდომარეობდა. ყველა რთული და პრინციპიალური ხასიათის კითხვების განხილვა მხოლოდ კოლეგიის სხდომაზე ხდებოდა, რომელიც სისტემატიურათ იკრიბებოდა ყოველ ორკვირაში ერთხელ.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1925 წლის აპრილამდე. აპრილში კი სრულიად საქართველოს დამზღვევ ორგანოთა მესამე კონფერენციამ სასურველად სცნო, რომ დამზღვევი კასსების ხელმძღვანელ ორგანოს,—რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს, საცავეში სდგომოდა პროფკავშირის პლენუმის მიერ არჩეული გამგეობა.

თანახმად ამ დადგენილებისა, 1927 წლის მაისში არჩეული იყო ახალი კომიტეტი, რომელსაც ეწოდა „**სრულიად საქართველოს სოციალური დაზღვევის კომიტეტი**". კომიტეტი ასრულებს ერთის მხრივ იმავე ფუნქციებს, რასაც სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო ასრულებდა და გარდა ამისა, ტფილისში და მის რაიონებში ეწევა ოპერაციული ხასიათის მუშაობას.

დამზღვევი ორგანოების ქსელი.

დამზღვევი ორგანოები	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.	1928 წ.
	ოქტომბრის 1 რიცხვისათვის				
რესპუბლ. სოცდაზღვევის სამმართველო . .	1	1	1	—	—
სრულიად საქ. სოცდაზღ. კომიტეტი . . .	—	—	—	1	1
დამზღვევი კასსები .	18	14	14	13	13
პუნქტები . .	11	15	15	15	20
რწმუნებულები	30	39	39	42	37
ს უ ლ . .	60	69	69	71	71

II. დაზღვეულთა წრე

1. დაზღვეულთა განაწილება უზრუნველყოფის სახეების მიხედვით.

ყოველი პირი, რომელიც დაქირავებით შრომას ეწევა, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით დაზღვეულია სოციალური რისკის სხვადასხვა სახეებისაგან. იგივე კანონმდებლობა დაზღვეულთა ამ წრეს ორ ნაწილად ჰყოფს. პირველ ნაწილს ეკუთვნიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან წარმოების ისეთ დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომის გამოყენებას მუდმივი ხასიათი აქვს. წარმოების ასეთ დარგებში ჩაბმული მუშა-მოსამსახურენი დაზღვეული არიან **სოციალურ რისკის ყველა სახეებისაგან.** ამიტომ დაზღვეულთა ამ ნაწილს ეწოდება **სრულიად დაზღვეულნი.**

მუშა-მოსამსახურეთა მეორე ნაწილი, რომელიც ჩაბმულია წარმოების ისეთ დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომას მხოლოდ დროებით, ან სეზონის მიხედვით იყენებენ—იზღვევა სოციალური რისკის მხოლოდ ზოგიერთი სახეებისაგან. მაგალითად ამ ნაწილის მუშა-მოსამსახურენი არ იზღვევიან უმუშევრობისაგან, ზოგადი მიზეზებისაგან გამოწვეულ ინვალიდობისაგან, არ ეძლევათ

დახმარების დამატებით სახეების დახმარება ოჯახის წევრებზე და სხვა. ამიტომ დაზღვეულთა ამ ნაწილს ეწოდება **ნაწილობრივად დაზღვეულნი.**

მართალია, ყოველი პირი, რომელიც დაქირავებით შრომას ეწევა, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, დაზღვეული უნდა იყოს, მაგრამ არიან დაქირავებულ პირთა ისეთი კატეგორიებიც, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ზოგიერთი ნაწილი დაზღვევის გარეშე რჩება. დაქირავებულ პირთა ამ კატეგორიას ეკუთვნიან უმთავრესად: საამშენებლო დარგის ერთეულთა მუშები, რომლებსაც ერთი განსაზღვრული დამქირავებული არა ჰყავთ. დღეს ერთ პირთან მუშაობენ, ხვალ მეორესთან და ასე შეუძლებელი ხდება მათი აღრიცხვაზე აყვანა დამქირავებელის მიხედვით. ამავე კატეგორიას ეკუთვნიან სასოფლო მეურნეობაში ჩაბმული მოჯამაგირეები და მწყემსები და, ნაწილობრივად ხელზე მოსამსახურენიც.

მაგრამ იმდენად, რამდამდენადაც ფართოვდება დამზღვევი ორგანოების ქსელი და უმჯობესდება ამ ორგანოების აპარატის მუშაობის მეთოდები, ზემოდ აღნიშნული კატეგორიის დაქირავებულ პირთაგან თანდათან მცირე ნაწილი რჩება დაზღვევის გარეშე.

მაგალითად, თუ 1925-26 საოპერაციო წელში დაქირავებულ მუშახელის საერთო რიცხვიდან დაზღვეული იყო 86,0%, 1926-27 წელში ეს რიცხვი უდრის 87,3%, ხოლო 1927-28 წელში კი—88,3%.

1928 წლის ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი სოფლის მეურნეობაში ჩაბმული დაქირავებულ პირთა დაზღვევის შესახებ. წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით საქართველო'ში დაზღვევა ვრცელდება დაახლოვებით 7000 მოჯამაგირეზე. მაგრამ, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის ადგილებიდან წარმოდგენილი დაწვრილებითი ცნობები დაზღვეულ მოჯამაგირეთა ფაქტიურ რიცხვზე, ქვემოდ მოყვანილ ცხრილებში ეს რიცხვი შეტანილი არ არის.

დაზღვეულთა რიცხვის განაწილება უზრუნველყოფის სახეების მიხედვით

საანგარიშო თარიღი	უზრუნველყოფის ყველა სახეების მიხედვით		უზრუნველყოფის მხოლოდ ზოგიერთი სახეებ. მიხედ.	
	დაზღველთა აბსოლუტური რიცხვი	% დაბ. საერთ. ენ. რიცხვან	დაზღვეულთა აბსოლუტ. რიცხვი	% დაბ. საერთ. ენ. რიცხვან
1924/25 საოპერ. წელი	80912	99,3	570	0,7
1925/26	95648	97,8	2152	2,2
1926/27	104114	97,4	2779	2,6
1927/28 „	110056	96,3	4211	3,7

2. დაზღვეულთა შემადგენლობა დაზღვევის ტარიფების მიხედვით

იმ თანხებს, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე უნდა დაიხარჯოს—დამქირავებლები იხდიან. ამ გადასახადის განსაზღვრა წარმოების ამა თუ იმ დარგისათვის ხდება წინასწარ დაწესებული დაზღვევის ტარიფის მიხედვით. დაზღვევის ტარიფის ოდენობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია, ან ნაკლები მავნებლობა-საშიშროების რისკი დაქირავებულ პირთა ჯანმრთელობისათვის წარმოების ამა თუ იმ დარგში.

ამჟამად მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა დაყოფილია სამ მთავარ ჯგუფად.

წარმოება-დაწესებულებათა პირველ ჯგუფზე გავრცელებულია დაზღვევის **ნორმალური ტარიფი.** მეორე ჯგუფზე ვრცელდება—**დროებითი შეღავათიანი ტარიფი,** ხოლო მესამე ჯგუფზე—**ნაწილობრივი დაზღვევის ტარიფი.**

წარმოების ის დარგები, რომელზედაც გავრცელებულია ნორმალური ტარიფი—ოთხ ხარისხად იყოფიან. წარმოების ის დარგები, რომელნიც მიკუთვნებულია მავნებლობა-საშიშროების პირველ ხარისხს, სოციალური დაზღვევის საჭიროებისათვის იხდიან მათ მიერ გაცემული ხელფასის—16%. მეორე ხარისხის წარმოების დარგში—

18%, მესამე ხარისხის—20% და მეოთხე ხარისხისათვის დაწესებულია დაზღვევის ტარიფი 22% რაოდენობით.

ნორმალური ტარიფის მიხედვით განზრახულ. წარმოების დარგებში შედის უმთავრესად სამრეწველო დაწესებულებები.

დროებითი შეღავათიანი ტარიფი შემოღებულია სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და აგრეთვე წარმოების იმ ზოგიერთ დარგებისათვის, რომელნიც სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან და დეფიციტს იძლევიან. სახელმწიფო დაწესებულებები იხდიან გაცემული ხელფასის 10%, ხოლო ამ ჯგუფზე მიკუთვნებულ საწარმოო დაწესებულებებისათვის დაწესებულია 10%-14%-დე.

ნაწილობრივი დაზღვევის ტარიფი ვრცელდება წარმოების იმ დარგებზე, რომელნიც დროებით ან სეზონურ ხასიათს ატარებენ. ამ დარგებში ჩაბმული მუშახელი დაზღვეულია სოციალური რისკის მხოლოდ ზოგიერთი სახეებისაგან და ამიტომ დაზღვევის ტარიფიც წარმოების ამ დარგთათვის მცირეა. ნაწილობრივი დაზღვევის ტარიფის მინიმუმი უდრის სამუშაო ხელფასის 0,25% ხოლო მაქსიმუმი კი—9,1%.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს დაზღვეულთა რიცხვის მოძრაობას ზემოთ დახასიათებული ჯგუფებისა და წლების მიხედვით. ნორმალური ტარიფის მიხედვით დაზღვეულთა რიცხვის ხვედრითი წონა წლითი წლობით მცირდება. სამაგიეროდ შეღავათიანი და ნაწი-

ლობრივი დარგების მიხედვით დაზღვეულთა რიცხვის ხვედრითი წონა იზრდება.

ეს მოვლენა აიხსნება იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ წლებში წარმოების ამა თუ იმ დარგის განიხვრის დროს დაზღვევის ტარიფის განსაზღვრას ზოგიერთ შემთხვევაში საფუძვლად ედებოდა არა მავნებლობა—საშიშროების ხარისხი, არამედ ამ დარგის ფინანსიური შემძლეობა და ნორმალური ტარიფის ნაცვლად ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით, შეღავათიან ტარიფის ჯგუფში ჰყვებოდენ წარმოების ეს ზოგიერთი დარგები.

დაზღვეულთა რიცხვის განაწილება სოცდაზღვევის საგადასახადო ტარიფების მიხედვით.

საანგარიშო თარიღი	ნორმალური ტარიფის მიხედვით	შეღავათიანი ტარიფის მიხედვით	ნაწილობრივ დაზღვევის ტარიფის მიხედვით
	%% დაზღვეულთა საერთო რიცხვთან		
1924/25 საოპერ. წ. .	41,0	58,3	0,7
1925/26 „	35,0	62,8	2.2
1926/27 „	32,4	65.0	2,6
1927/28	31,8	64,6	3,6

დაზღვეულთა წლიური საშუალო რიცხვი დამზღვევი ერთეულების მიხედვით.

დამზღვეელ ერთეულების დასახელება	1924/25	1925/26	1926/27	1927/28
	საოპერაციო წელში			
ტფილისი .	36441	42700	44154	48482
აპარისტანი .	8012	9318	10044	9606
ქუთაისი . .	9145	8397	10118	11.637
აფხაზეთი .	5557	8033	8041	9970
ჭიათურა .	4630	6580	6738	5737
სენაკი .	2115	2823	3266	2959
გორი .	2679	2937	3556	3256
ზუდდიდი .	1180	2202	2736	2831
სიღნაღი .	2055	2229	2700	2451
ფოთი .	1748	2091	2364	2201
ოზურგეთი .	1567	1813	2266	2650
თელავი .	1170	1489	1941	2007
ბორჯომი. . . .	1143	1239	1628	2030
სამხრეთ ოსეთი . .	788	1027	1148	1211
ახალციხე .	1300	1273	1502	1732
ბორჩალო .	1099	1204	1252	1301
დუშეთი .	853	955	1286	1375
რაჭა . . .	შედ. ქუთ.	850	806	841
ახალქალაქი .	შედის ახალციხეში		691	756
ლეჩხუმი .	შედ. ქუთ.	640	656	1017
სვანეთი	ცნობები არ არის			217
სულ .	81482	97800	106893	114267

3. დაზღვეულთა რიცხვი სქესის მიხედვით.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სოციალური დაზღვევის ორგანოები დედაკაცზე გაცილებით მეტს ხარჯავენ, ვიდრე მამაკაცზე. გარდა ამისა, რომ დედაკაცს თან ახლავს რისკი ორსულობა-მშობიარობისა, დედაკაცები უფრო ხშირად ავადმყოფობენ და უფრო ადრე ხდებიან ინვალიდებათ, ვიდრე მამაკაცები. ამიტომ, როცა სოციალური დაზღვევის ამა თუ იმ ორგანოს ვეხებით და ვარკვევთ მის ხარჯებს და დაზღვევის რისკის მოძრაობას, მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ თუ როგორია ამ რაიონში დაზღვეულთა შემადგენლობა სქესის მიხედვით ამ მიზნით მოგვყავს საქართველოს დამზღვევი ორგანოების დაზღვეულთა შემადგენლობა სქესის მიხედვით.

დაზღვეულთა რიცხვის სქესის მიხედვით განაწილება (%%-ში).

დამზღვევი ერთეულების დასახელება	მამაკაცები		დედაკაცები	
	1926/27 წ.	1927/28 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
ტფილისი .	75,9	76,6	24,1	23,4
აჭარისტანი	87,2	81,2	12,8	18,8
ქუთაისი .	80,1	79,9	19,9	20,1
აფხაზეთი .	80,9	73,5	19,1	26,5

დამზღვევი ერთეულების დასახელება	მამაკაცები		დედაკაცები	
	1926/27 წ.	1927/28 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
ჭიათურა . .	91,4	89,2	8,6	10,8
სენაკი .	90,5	81,8	9,5	18,2
გორი .	82,1	74,0	17,6	26,0
ზუგდიდი .	90,4	92,5	9,6	7,8
სიღნაღი .	83,9	83,0	16,1	17,0
ფოთი .	91,8	90,5	8,2	9,5
ოზურგეთი .	64,1	64,2	35,9	35,8
თელავი .	74,2	69,5	25,8	30,5
ბორჯომი .	87,0	86,2	13,0	13,8
სამხრეთ ოსეთი .	78,8	84,3	21,2	15,7
ახალციხე .	82,4	83,7	17,6	16,3
ბორჩალო .	84,0	83,0	16,0	17,0
დუშეთი .	82,3	82,0	17,6	18,0
რაჭა .	85,8	82,3	14,2	17,7
ახალქალაქი .	83,6	83,1	16,4	16,9
ლეჩხუმი .	85,8	89,0	14,2	11,0
სვანეთი	ცნ.არარის	87,6	ცნ.არარის	12,4
ს უ ლ .	80,6	78,8	19,4	21,2

4. დაზღვეულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან.

ცნობები მოსახლეობის საერთო რიცხვის შესახებ ამოღებულია საქართველოს ცენტრალური სამმართველოს კრებულიდან. დამზღვევი ორგანოების სამოქმედო რაიონი შეფარდებულია უწყებულ კრებულში აღნიშნულ რაიონებთან. ამიტომ დაზღვეულთა რიცხვი ბორჯომის დამზღვევი კასსისა ჩვენ შეუერთეთ გორის დამზღვევი კასსის დაზღვეულთა რიცხვს. აღწერის მასალებიდან მოყვანილია ცნობები მოსახლეობის საერთო რიცხვის მიხედვით, ხოლო დაზღვეულთა რიცხვში კი შეტანილი არ არის ოჯახის წევრთა რაოდენობა, ვინაიდან ამ გვარი ცნობები დამზღვევ ორგანოებს არ მოეპოებათ. ამიტომ ქვემოდ მოყვანილ ცხრილში გამოქვეყნებული ცნობები პირობითია, ე. ი. დაზღვეულთა რიცხვში შედიან მხოლოდ თვით დაზღვეულნი, ოჯახის წევრების რიცხვის გამოკლებით. ამის გამო ჩვენ ვღებულობთ მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით დაზღვეულთა რიცხვის მხოლოდ 4,4%.

აქ მოყვანილ ცნობებს, ამიტომ, მხოლოდ დამზღვევი ორგანოებისათვის აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლისა, ასეთი ცნობების მიხედვით შესაძლოა ერთი მაზრის, ან რაიონის მეორესთან შედარება და ამისდა მიხედვით, როგორც საექიმო დახმარების ქსელის, ისე დამზღვევი ორგანოების აპარატის მოწყობის საქმეში დაახლოებით მაინც სწორი გეზის აღება.

დაზღვეულთა რიცხვის შედარება მოსახლეობის საერთო რიცხვთან.

№ 6.

ავტონომიური რესპუბლიკები და მაზრები	მოსახლეობის საერთო რიცხვი 1926 წლის 17 დეკემბრის აღწერით	დაზღვეულთა რიცხვი პენსიონ. და უმუშევრების ჩათვლით 1927 წლის 1 იანვრისათვის	
		აბსოლუტური რიცხვი	%%-ში მოსახლეობის რიცხვთან
ტფილისის . .	453037	49134	10,8
აჭარისტანის .	131957	11856	9,0
ქუთაისის . .	297032	11910	4,0
აფხაზეთის .	201016	9711	4,8
შორაპნის .	191977	6019	3,1
სენაკის . .	126417	3540	2,8
გორის . . .	206729	4714	2,3
ზუგდიდის .	129856	2783	2,1
სიღნაღის . .	158111	3030	1,9
ფოთის . . .	14266	2317	16,2
ოზურგეთის . .	113455	2273	2,0
თელავის	105244	2734	2,6
სამხრეთ-ოსეთის . .	87375	972	1,1
ახალციხის . .	96973	1387	1,4
ბორჩალოს .	86537	1219	1,4
დუშეთის .	63239	1338	2,1
რაჭის	65570	798	1,2
ახალქალაქის	78937	659	0,9
ლეჩხუმის .	47587	439	0,9
სვანეთის .	11179	200	1,8
ს უ ლ .	2666494	117033	4,4

დაზღვეულთა რიცხვი რესპუბლიკების მიხედვით.

№ 2-ა

რესპუბლიკების დასახელება	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
	ოქტომბრის 1 რიცხვისათვის			
საბჭ. სოც. რესპ. კავშირი .	5.106.691	7.631.000	8.857.900	9.843.200
მათ შორის:				
რუსეთის ფედ. საბ. სოც. რესპ. .	3.687.505	4.625.700	5.328.800	5.920.000
უკრაინის საბ. სოც. რესპუბ. .	1.069.425	1.246.200	1.505.200	1.738.400
ბელორუსიის .	81.092	102.400	127.600	181.400
საქართველოს .	74.402	88.914	108.678	111.176
ადერბეიჯანის .	ცნ. არ არის	ცნ. არ არის	145.468	155.854
სომხეთის .	ცნ. არ არის	21.131	25.811	32.227

პენსიონერთა უზრუნველყოფა

საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც შრომის უნარს მოკლებულია და ამავე დროს არც რაიმე სხვა არსებობის წყარო გააჩნია, დახმარებას ღებულობს ან სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატიდან, ან და სოციალურ დაზღვევის ორგანოებიდან.

1. სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის პენსიონერები.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს თავის მზრუნველობაზე აყვანილი ჰყავს ერთის მხრივ იმპერიალისტურ ომის ინვალიდები (ყოფილი სამხედრო პირები) და მეორეს მხრივ—ისეთი ინვალიდები, რომელნიც, თუმცა დაქირავებით შრომას არ ეწეოდენ, მაგრამ არც სხვისი შრომით სარგებლობდნენ. მაგალითად შრომის უნარმოკლებული უღარიბესი გლეხები, ხელოსნები და თავისუფალი პროფესიის პირები.

2. სოციალური დაზღვევის ორგანოების პენსიონერები.

ყველა ის პირი, რომელიც დაქირავებით შრომას ეწევა, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში პენსიას სოციალურ დაზღვევის ორგანოებიდან ღებულობს. აგრე-

თვე როცა დაქირავებით მომუშავე პირი კვდება, თუ მას შრომის უნარ მოკლებული მშობლები, ცოლი ან მცირე წლოვანი შვილები დარჩა, პენსია ოჯახის აღნიშნულ წევრებს ენიშნება.

3. პენსიონერების კატეგორიების მიხედვით დანაწილება.

სოციალურ დაზღვევის ორგანოების პენსიონერები უპირველეს ყოვლისა ორ ნაწილათ იყოფიან. პირველ ნაწილს შეადგენენ თვით ინვალიდები, ხოლო მეორე ნაწილს—ქვრივ-ობოლთა ოჯახები.

როგორც თვით ინვალიდები, ისე ქვრივ-ობოლთა ოჯახები კატეგორიების მიხედვით ნაწილდებიან. ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნება ამა თუ იმ ინვალიდის, ან ქვრივ-ობოლთა ოჯახის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული ინვალიდობა ან მარჩენალის დაკარგვა.

ინვალიდობის მიზეზები ხუთ სხვა და სხვა კატეგორიებათ არის დანაწილებული.

1. ინვალიდობა, ან მარჩენალის დაკარგვა, ზოგადი დაავადებით და მოხუცებულობით გამოწვეული.

2. ინვალიდობა, ან მარჩენალის დაკარგვა, პროფესიონალურ დასახიჩრებით გამოწვეული,

3. ინვალიდობა, ან მარჩენალის დაკარგვა, პროფესიონალურ დაავადებით გამოწვეული,

4. ინვალიდობა, ან მარჩენალის დაკარგვა, სამოქალაქო ომში მონაწილეობით გამოწვეული,

და 5. განათლების მუშაკთათვის 25 წლის თავის პროფესიაში მუშაობის წელთა დამსახურებით.

გარდა ამისა, 1928 წლის უკანასკნელ თვეებში გამოიცა კანონი, რომელიც გულისხმობს წარმოების ზოგიერთი დარგის მუშათა, მოხუცებულობისაგან დაზღვევას განსაზღრულ ჰასაკის შესრულების შემდეგ (მამაკაცთათვის 65 წელს, დედაკაცთათვის—55 წელს). 1928 წლის ოქტომბრის 1 რიცხვისათვის. საქართველოს დამზღვევ კასსებს ამ კატეგორიის ინვალიდები ჯერ კიდევ არ ჰყოლიათ უზრუნველყოფაზე აყვანილი და ამიტომ მათი რიცხვი ქვემოდ მოყვანილ ცხრილებში არ არის ნაჩვენები.

მომავალში ჩვენ უნდა მოველოდეთ მოხუცებულობისაგან დაზღვევის ფარგლების გაფართოვებას, ვინაიდან ამას მოითხოვს ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები. მოხუცებული მუშა ხელის შეცვლა ახალგაზრდა პირთა შრომით, აუცილებელ პირობას შეადგენს ჩვენი წარმოების განვითარებისთვის.

ორიოდე სიტყვა სამოქალაქო ომის ინვალიდების და განათლების მუშაკთა შესახებ. ის მოვლენა, რომ სამოქალაქო ომის ინვალიდების უზრუნველყოფა სოციალურ დაზღვევის ორგანოებს დააკისრა ჩვენმა კანონმდებლობამ —დროებითი ხასიათის მოვლენაა. სამოქალაქო ომმა ჩვენ დაგვიტოვა უამრავი რიცხვი დასახიჩრებულ-დაავადებულთა. სახელმწიფო ვალდებული იყო მოეწყო ამ პირთა უზრუნველყოფა. ამ მიზნით სამოქალაქო ომის ინვალიდთა ერთი ნაწილი (დაახლოვებით, 20.000 ინვალიდი საბჭოთა

რესპუბლიკების კავშირში) გადავიდა სოციალურ დაზღვევის ორგანოების უზრუნველყოფაზე. ამ რიცხვის ზრდა, თავისთავად ცხადია, არ ხდება. წინააღმდეგ, მათი რიცხვი გარდაცვალებისა და სხვა მიზეზების გამო ყოველ წლიურად კლებულობს და, დაახლოვებით, 10 წლის შემდეგ დამზღვევი ორგანოების უზრუნველყოფაზე ამ კატეგორიის ინვალიდები აღარ იქნებიან.

რაც შეეხება განათლების მუშაკთა წელთა დამსახურების გამო სოციალური დაზღვევის ორგანოებიდან პენსიით უზრუნველყოფას, ესეც დროებითი ხასიათის მოვლენაა, ვინაიდან ამ პირთა უზრუნველყოფა მომავალში ან სახელმწიფო ხაზინას გადაეცემა ან და განათლების კომისარიატს.

ამნაირად, სოციალურ დაზღვევის ორგანოების პენსიონერების შემადგენლობა ინვალიდობის მიზეზების მიხედვით, მომავალში გაიწმინდება და დამზღვევი ორგანოების უზრუნველყოფაზე დარჩებიან ზემოდ ჩამოთვლილი დანარჩენი კატეგორიების ინვალიდები.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს საქართველოს დამზღვევი ორგანოების პენსიონერთა საერთო რიცხვის მოძრაობას კატეგორიებისა და წლების მიხედვით.

პენსიონერთა რიცხვი, როგორც ეს აქ მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, ყოველწლიურად იზრდება. ხოლო ამ ზრდის ტემპი წლების მიხედვით ერთი და იგივე როდია. მაგალითად იმ დროს, როცა 1925/26 საოპერაციო წელში, წინა წელთან შედარებით, პენსიონერთა საერთო რიცხვმა

49,8%-ით იმატა, ხოლო 1926/27 წელში—52,2%-ით, 1927/28 საოპერაციო წელში წინა წელთან შედარებით, პენსიონერთა რიცხვი მხოლოდ 36,3%-ით გაიზარდა.

პენსიონერთა საერთო რიცხვის ზრდის ტემპის 1927—28 წელში შენელება, უმთავრესათ უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ შრომის ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე დაჰკარგეს და რომელთა პენსიაზე ჩარიცხვა თითქმის 1927 წლამდე გრძელდებოდა, 1928 წლისათვის ასეთი ინვალიდების რეზერვი თითქმის უკვე ამოიწურა და აღნიშნული წლიდან დამზღვევი ორგანოების უზრუნველყოფაზე მხოლოდ ახალი პენსიონერების აყვანა ხდებოდა.

მომავალ წლებში მოსალოდნელია პენსიონერთა რიცხვის ზრდის ტემპის გაცხოველება, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეთა **მოხუცებულობისაგან დაზღვევა**, უფრო ფართო მასშტაბით, მოსალოდნელია მომავალი წლებში.

ეხლა, თუ ავიღებთ პენსიონერთა რიცხვის მაჩვენებლებს წლების მიხედვით, ე. ი. თვითეულ წელში რამდენი პენსიონერი მოდის ყოველ 1000 აქტიურ დამზღვეულზე ასეთ სურათს მივიღებთ:

ყოველ 1000 აქტიურ დაზღვეულზე მოდიოდა: 1924—25 წელში—26,7 პენსიონერი, 1925—26 წელში—33,1, 1926—27 წელში—46,2, ხოლო 1927—28 წელში კი ყოველ 1000 აქტიურ დაზღვეულზ 59 პენსიონერი მოდის.

პენსიონერთა რიცხვის მაჩვენებელი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში ყველაზე დიდი

რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაშია. მეორე ადგილი უჭირავს უკრაინას, ხოლო მესამე კი საქართველოს.

რაც შეეხება ამიერ კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკებს, აქ ჩვენს ყურადღებას ერთი გარემოება იპყრობს. იმ დროს, როცა ბაქოს ნავთის წარმოებაში ინვალიდების შემთხვევების მაჩვენებელი გაციცებით დიდი უნდა იყოს, ვიდრე საქართველოში, სინამდვილეში წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი. საქართველო, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ყოველ 1000 დაზღვეულზე 1925—26 წელში იძლევა 33,1 პენსიონერს, ხოლო ადერბეიჯანი კი—28,3. რაც შეეხება სომხეთს, პენსიონერთა რიცხვის ხვედრითი წონა იქ კიდევ უფრო ნაკლებია. ამ მოვლენის ახსნა მარტო იმითი, რომ საქართველოში დაზღვეული მოსახლეობის გაინვალიდება თითქოს უფრო ჩქარი ტემპით ხდებოდეს, ვიდრე ადერბეიჯანში, არ იქნება სწორი.

ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთის მხრივ დაზღვეულთა შემადგენლობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ე. ი. დაქირავებული მუშახელს ამა თუ იმ რაიონში, ან რესპუბლიკაში ადგილობრივი მოსახლეობა იძლევა, თუ იგი მოსულ პირებისაგან შესდგება. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ დაზღვეული მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ საკმაო მტკიცე კავშირით არის დაკავშირებული სოფელთან. აქვს ქოხი, მიწის ნაჭერი და ჰყავს ნა-

თესაობა. შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში, ჩაირიცხებიან რა პენსიაზე, ასეთი პირები მიილტვიან თავის სოფლისაკენ. საქართველოში მიწის ნაკლულოვნება და წარმოების არა ჯეროვანი განვითარება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ერთ ნაწილს იძულებულ ჰყოფს უმთავრესად თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით იცხოვროს და სამუშაო ხშირათ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ ეძიოს.

ბაქო თავისი ნავთის წარმოებით მუდამ იზიდავდა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს და ინვალიდობის შემთხვევებში ეს ნაწილი ისევ საქართველოს უბრუნდებოდა. საერთოდ კი ნავთის წარმოებაში ჩაბმული მუშახელის თითქმის ორი მესამედი სხვა რესპუბლიკებიდან მოსულ პირებისაგან შესდგება. ამის გამო პენსიონერთა საგრძნობი ნაწილი, პენსიაზე ჩარიცხვის შემდეგ, ბაქოს სტოებს, და თავის ქვეყნისაკენ მიილტვის.

მეორეს მხრივ, მის შემდეგ, რაც პენსიონერის ერთი კასსიდან მეორეში გადასვლა გაადვილდა, პენსიონერთა ერთი ნაწილი საცხოვრებელ ადვილად ირჩევს ისეთ რაიონს, ან რესპუბლიკას, სადაც ცხოვრება უფრო ადვილია, როგორც ბინის, ისე სანოვაგისა და ჰავის მხრივ. ამ შემთხვევაშიაც საქართველო, მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით, პენსიონერთა თვალსაჩინო ნაწილს იზიდავს.

აი, ჩვენი აზრით ის მიზეზები, რომელიც ხელს უწყობენ პენსიონერთა მაჩვენებლების არა ბუნებრივ ზრდას ჩვენში.

პენსიონერთა წლიური საშუალი რიცხვი დამზღვევი კასების მიხედვით.

დამზღვევი ერთეულები	1925/26 წ.		1926/27 წ.		1927/28 წ.	
	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვეულზე	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვეულზე	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვეულზე
ტფილისი .	1562	36,6	2363	53,5	3338	68,9
აჭარისტანი . .	205	22,6	314	31,3	434	45,2
ქუთაისი .	442	52,6	579	57,2	755	64,9
აფხაზეთი .	212	23,5	323	40,2	312	31,3
ჭიათურა .	175	26,6	335	49,7	499	87,0
სენაკი ..	41	14,5	99	30,3	134	45,3
გ ო რ ი .	74	25,2	118	33,2	153	47,5
ზუგდიდი .	36	16,3	59	21,6	74	26,1
სიღნაღი .	79	35,4	104	38,5	121	49,6
ფ ო თ ი .	118	56,4	156	66,0	214	97,2
ოზურგეთი .	104	57,4	146	64,4	190	71,9
თელავი	44	29,6	71	36,6	102	50,8
ბორჯომი .	63	50,8	81	49.8	97	47,8
სამხრეთ ოსეთი .	18	17,5	32	27,9	54	44,8
ახალციხე . .	20	15,7	42	28,0	64	37,0
ბორჩალო .	7	5,8	15	12 0	28	22,0
დუშეთი .	19	19,9	31	24,1	48	34,9
რ ა ჭ ა . .	10	11,8	28	34,7	57	67,8
ახალქალაქი .	—	—	22	31,8	27	35,7
ლეჩხუმი .	12	18,8	22	33,5	31	30,5
სვანეთი	—	—	—	–	3	13,8
	3241	33,1	4940	46,2	6735	58,9

4. პენსიონერთა რიცხვის მოძრაობა კატეგორიების მიხედვით.

კატეგორიების დასახელება	1924/25 წ			1925/26 წ.			1926/27 წ.			1927/28 წ.		
	ინვალიდები	ქვრივ-ობოლ-ნი ოჯახები	სულ	ინვალიდები	ქვრივ-ობოლ-ნი ოჯახები	სულ	ინვალიდები	ქვრივ-ობოლ-ნი ოჯახები	სულ	ინვალიდები	ქვრივ-ობოლ-ნი ოჯახები	სულ
ზოგადი მიზეზ. და მოხუცებ. . . .	1352	691	2043	1863	1078	2941	2735	1657	4392	3850	2182	6032
პროფესიონალური დასახიჩ. . .	55	65	120	73	88	161	122	119	241	174	138	312
სამოქალაქო ომის .	—	—	—	3	—	3	9	1	10	11	6	17
გან. მუშ. წელთა დამსახურ. . .	—	—	—	128	8	136	293	4	297	366	8	374
სულ .	1407	756	2173	2067	1174	3241	3159	1781	4940	4401	2334	6735

პენსიონერთა რიცხვის მოძრაობა კატეგორიების მიხედვით

(პროცენტული შეფარდება წინა წლებთან)

კატეგორიების დასახელება	1925/26 წ.			1926/27 წ.			1927/28 წ.		
	ინვალიდები	ქვრივ-ობოლ/ ნა ოჯახები	ს ე ნ	ინვალ/ იდები	ქვრივ-ობოლ/ ნა ოჯახები	ს ე ნ	ინვალ/ იდები	ქვრივ-ობოლ/ ნა ოჯახები	ს ე ნ
ზოგადი მიზეზ. და მოხუც.	137,8	156,0	144,0	146,8	153,7	149,3	140,8	131,7	143,5
პროფესიონ. დასახიჩრება	132,7	135,4	134,2	167,1	135,2	149,7	142,6	116,0	129,5
სამოქალაქო ომი	—	—	—	300,0	—	333,3	122,2	600,0	170,0
განათლ. მუშ. წელთა დამს.	—	—	—	228,9	50,0	218,4	124,9	200,0	125,9
	146,9	155,3	149,1	152,8	151,7	152,4	139,3	131,0	136,3

ბ. პენსიონერთა რიცხვის ჯგუფების მიხედვით განაწილება.

შრომის ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი დაკარგული აქვთ ზოგადი დაავადების და მოხუცების გამო, სამ ჯგუფათ იყოფებიან. პირველ ჯგუფში ირიცხებიან ისეთი ინვალიდები, რომელთაც აღარავითარი შრომა აღარ შეუძლიათ და გარდა ამისა, **დავრდომილნი არიან**, ე. ი. თავისი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ გარეშე პირის შველას საჭიროებენ. მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ისეთი ინვალიდები, რომელნიც შრომის უნარს მოკლებულნი არიან იმავე ღონით, როგორც პირველი ჯგუფის, ხოლო **დავრდომილნი არ არიან.** მესამე ჯგუფში ირიცხებიან ისეთი ინვალიდები, რომელთაც რეგულიარული მუშაობა თავის პროფესიაში აღარ შეუძლიათ, მაგრამ სხვა, იოლ სამუშაოზე, გადასვლის უნარი შენარჩუნებული აქვთ. მაშასადამე ამ ჯგუფის ინვალიდებს შეუძლიათ მუშაობის განგრძობა დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე და პენსიაც მიიღონ, ხოლო პენსია და სამუშაო ხელფასი ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს მის ყოველგვარ სამუშაო ხელფასს.

ამ ცხრილში მოყვანილი ცნობების მიხედვით, პირველი დი მეორე ჯგუფების ინვალიდთა ხვედრითი წონა წლითი-წლობით კლებულობს, ხოლო სამაგიეროდ იზრდება მესამე ჯგუფისა—ეს მოვლენა აიხსნება, ერთის მხრივ

იმით, რომ პირველ წლებში დამზღვევი ორგანოების უზრუნველყობაზე აყვანილი იქმნა ძველი ინვალიდები, რომელნიც შესულნი იყვნენ ღრმა მოხუცებაში, და, მაშასადამე, მათ რიცხვში საგრძნობ ნაწილს დავრდომილნი შეადგენენ. შემდეგ წლებში კი შრომის ინვალიდთა რიცხვის ზრდა განსაკუთრებით უფრო ახალგაზრდა პირებიდან. ხდებოდა მეორეს მხრივ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა საექიმო საექსპერტო ბიუროებში შემოწმების საქმე.

პენსიონერთა რიცხვის მოძრაობა ჯგუფების მიხედვით.
(ზოგადი მიზეზების გამო)

საანგარიშო თარიღი	შრომის ინვალიდების %-ლი განაწილების ჯგუფების მიხედვით			ქვრივ-ობოლთა ოჯახების %-ლი განაწილება ოჯახის წევ. მიხედვით.		
	I	II	III	შრომის უნარ მოკლებ.		
	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	1 წევ.	2 წევ.	↗ დამეტწ.
1924/25 საოპ. წ.	13,5	61,7	24,8	33,5	28,5	38,0
1925/26 „	11,1	59,0	29,9	37,8	24,9	37,3
1926/27 „	8,6	57,7	33,7	39,9	23,5	36,6
1927/28 „	7,6	59,2	33,2	41,2	23,4	35,4

ზოგადი მიზეზებით შრომის უნარმოკლებული ინვალიდების ჯგუფების მიხედვით დანაწილება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები	%% შრომის ინვალიდთა საერთო რიცხვთან											
	1925 წ.			1926 წ.			1927 წ.			1928 წ.		
	ოქტომბრის პირველ რიცხვისათვის											
	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.
საბ. სოც. რესპ. კავ.	7,4	54,4	38,2	7,7	53,8	38,5	ცნ	ობ	ებ	ი	არ	არის
რუს. საბ. სოც. ფედ. რ.	6,6	52,7	40,7	7,0	52,3	40,7	ცნ	ობ	ებ	ი	არ	არის
უკრაინის საბ. სოც. რ.	8,6	63,0	28,4	7,9	60,7	31,4	ცნ	ობ	ებ	ი	არ	არის
საქართვ. „ „	11,1	59,0	29,9	9,8	56,1	34,1	8,0	59,3	32,7	7,3	58,5	34,2
ადერბეიჯ. „	ცნ.	არ	არის	11,1	55,6	33,3	9,5	58,2	32,3	10,9	59,9	[illegible],2
სომხეთის „ „	ცნ.	არ	არის	24,4	51,2	24,4	19,3	59,8	20,9	16,7	58,4	24,9

თითოეულ რესპუბლიკაში შრომის ინვალიდების ჯგუფებათ დანაწილება საკმაოდ ჭრელ სურათს იძლევა. ეს მოვლენა, სხვა მიზეზებთან ერთად, აიხსნება იმითაც, რომ საექიმო ექსპერტიზის ბიუროებში ყველგან ერთი და იგივე პრინციპით არ ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ ინვალიდობის ჯგუფზე მიკუთვნების დროს. საექიმო ექსპერტიზის მუშაობა ფრიად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. იგი ექსპერტისაგან მოითხოვს დიდ ცოდნას და გამოცდილებას. საკმარისია ამა თუ იმ რაიონის საექსპერტო ბიუროში თავი იჩინოს კაც-მოყვარეობის გადაჭარბებულმა გრძნობებმა, ან ზომაზე მეტმა სიმკაცრემ, რომ ამ რაიონში ინვალიდების ჯგუფებად დანაწილებამ სრულიად სხვა სურათი მოგვცეს. ამიტომ საექიმო ექსპერტიზის მუშაობას, ე. ი. იმ მეთოდებს, რომელსაც თითოეული მათგანი მიმართავს შემოწმების დროს, უშუალოდ გავლენის მოხდენა შეუძლია თითოეული ჯგუფის ინვალიდების ხვედრითი წონის მოძრაობაზე. საბჭოთა რესპუბლიკებში საინვალიდო ექსპერტიზა სრულიად ახალი საქმეა. მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო ერთ მთლიანი სახელმძღვანელო პრინციპის გამომუშავება და როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ეს გარემოება უთუოდ საგრძნობ გავლენას ახდენს იმ სიჭრელეზე, რომელსაც ამ ცხრილში ვხედავთ. ამ მხრივ განსაკუთრებულ გადახრას აქვს ადგილი სომხეთსა და ადერბეიჯანში.

6. თვიური პენსიის ოდენობის მოძრაობა

1926 წლის ივლისამდე თითოეული ჯგუფის შრომის ინვალიდისათვის წესდებოდა ერთნაირი თვიური პენსიის ნორმა. მაგალითად, 1924 წლის ოქტომბერში პირველი ჯგუფის ყველა ინვალიდებისათვის დაწესებული იყო თვეში 15 მან., მეორე ჯგუფის ინვალიდებისათვის 10 მან. და მესამე ჯგუფისათვის 7 მან. 50 კაპ. 1925 წლის ოქტომბერში პირველ ჯგუფის ინვალიდებს ეძლეოდათ თვეში 25 მანეთი, მეორე ჯგუფს—16 მ. 50 კ. ხოლო მესამე ჯგუფისას 12 მ. 50 კ. ამ მხრივ გამონაკლის შეადგენდენ ის ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი დაკარგული ჰქონდათ პროფესიონალური დასახიჩრების გამო. ამ კატეგორიის ინვალიდების თვიურ პენსიის გამოაგარიშება ხდებოდა თითოეული მათგანის ყოფილი ხელფასის მიხედვით. მაგალითად, I ჯგუფის ინვალიდი პენსიის სახით ღებულობს თავისი ყოფილი ხელფასის მთელ 100%. მეორე ჯგუფის ინვალიდი—75%, მესამე ჯგუფის—50% და სხვა.

1926 წლის ივლისიდან პენსიის გამოანგარიშების ასეთი წესი გავრცელდა იმ შრომის ინვალიდებზედაც, რომელთაც შრომის უნარი ზოგადი დაავადებით, მოხუცებისა და სამოქალაქო ომში მონაწილეობის გამო ჰქონდათ დაკარგული. ამ კატეგორიის ინვალიდებისათვის მხოლოდ ის განსხვავება დაწესდა, რომ პირველი ჯგუფის ინვალიდი თავისი ყოფილი ხელფასის მთელ 100% კი არ ღებულობს,

როგორც ეს არის დასახიჩრებული ინვალიდისათვის, არამედ 66,7%. მეორე ჯგუფის ინვალიდი ღებულობს ხელფასის—44,4% და მესამე ჯგუფის ინვალიდი—33,3%.

მე-9-ე ცხრილში მოყვანილი ცნობები საშუალო თვიური პენსიის ოდენობის წლების მიხედვით მოძრაობის შესახებ შეეხება მხოლოდ ზოგადი დაავადებისა და მოხუცების გამო შრომის უნარ მოკლებულ ინვალიდებს და მათ ქვრივ ობოლთა ოჯახებს. პენსიის თვიური სამუშაოს ოდენობა თითოეული წლისათვის გამოყვანილია ყველა ჯგუფების შეწონვის საშუალებით.

ერთი პენსიონერის საშუალო თვიური პენსიის შენაწონი ოდენობა.

(ზოგადი მიზეზების და მოხუცების გამო) № 10

1	შრომის ინვალიდი		ქვ. ობოლთა ოჯახის	
საანგარიშო თარიღი	თვიური პენსია (მანეთებში)	%-ული შეფარდება 1924/25 წლთან	თვიური პენსია (მანეთებში)	%-ული შეფარდება 1924/25 წლთან
1924/25 საოპ. წელი	11—72	100,0	8—78	100,0
1925/26 „ „	18—55	157,5	15—71	180,2
1926/27 „	22—35	189,7	18—63	213,6
1927/28	24—57	208,6	19—22	220,4

IV. უმუშევრობა

უმუშევართა უზრუნველყოფა.

როცა დაქირავებით მომუშავე პირი სამუშაოს ჰკარგავს, ე. ი. უმუშევარი რჩება, უმუშევრების პერიოდში დახმარებას დამზღვევი კასსიდან ღებულობს.

მაგრამ ამ უფლებით ყველა დაქირავებით მომუშავე პირი როდი სარგებლობს.

ჩვენი კანონმდებლობა უმუშევრობის შემთხვევებში დამზღვევ ორგანოებიდან დახმარების მიღების უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც უმუშევრად დარჩენამდე გამუდმებით დაქირავებით შრომას ეწევოდენ და გარდა სამუშაო ხელფასისა, სხვა რაიმე საარსებო წყარო არ მოეპოებოდათ.

ამნაირად ის პირები, რომელნიც მხოლოდ დაქირავებულ შრომას მხოლოდ ხანგამოშვებით ეწევიან, როგორც, მაგალითად, სოფლის მეურნენი, რომელნიც საქირაოდ მაშინ გამოდიან, როცა სოფლის მეურნეობაში მუშაობას მორჩებიან ხოლმე და აგრეთვე ის პირები, რომელნიც ისეთ ხელობას მისდევენ, რომელთანაც თავისთავად დაკავშირებულია დროგამოშვებით სამუშაოს შეწყვე-

ტა (სეზონური სამუშაოები),—უმუშევრობისაგან არ იზ-ღვევიან. ხოლო უკანასკნელი კატეგორიის მომუშავეთა-თვის უმუშევრობისაგან დაზღვევა ჩვენი კანონმდებლო-ბით გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, რო-ცა უმუშევრობას ადგილი აქვს სამუშაო სეზონის პერი-ოდში და დახმარებით უზრუნველყოფაც ამ სეზონის და-თავებამდე ხდება.

1. დაზღვეულ უმუშევართა კატეგორიების მიხედვით დანაწილება.

1928 წლამდე დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი ორ კატეგორიად ნაწილდებოდა. პირველი კატეგორიის უმუ-შევრად ითვლებოდენ კვალიფიციური მუშები და უმაღ-ლესი განათლების პირები. მეორე კატეგორიაში—ნახევ-რად კვალიფიციური მუშები და მოსამსახურეთა საშუა-ლო პერსონალი. ხოლო მესამე კატეგორიაში კი—შავი მუშები და დაბალი დამხმარე პერსონალი.

როგორც თვიური დახმარების ნორმა, ისე დახმარე-ბაზე ჩარიცხვისათვის საჭირო დაქირავებითი მუშაობის სტაჟი, თითოეული ზემოდ დასახელებული კატეგორიისა-თვის სხვადასხვანაირია.

2. დაქირავებით მუშაობის სტაჟი.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, უმუშევრობი-გან დაზღვევით სარგებლობენ მხოლოდ ის პირები, რო-მელნიც გამუდმებით დაქირავებულ შრომას ეწევიან. ამი-

ტომ ჩვენი კანონმდებლობით დაწესებულია დაქირავებით მუშაობის განსაზღვრული ვადა, რომელიც საჭიროა, რათა უმუშევარი დამზღვევი კასსის უზრუნველყოფაზე ჩაირიცხოს.

დაქირავებით მუშაობის საეალდებულო ხანგრძლივობა თითოეულ ზემოდ ჩამოთვლილ კატეგორიისათვის სხვადასხვა წელში სხვადასხვა ვადით იყო დაწესებული. მაგალითად, კვალიფიციურ მუშებისაგან და უმაღლესი განათლების მქონე გონებრივ მუშაკთაგან, რომელნიც უმუშევრობის პირველი კატეგორიის მიხედვით იჭლვევიან, კანონი დაქირავებითი მუშაობის სტაჟს არ მოითხოვს. ასეთი სტაჟი დაწესებულია მხოლოდ ნახევრად კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც მიკუთვნებული არიან უმუშევრობის მესამე და მეორე კატეგორიაზე და ეს ასეა იმიტომ, რომ ნახევრად კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ უმუშევართა შორის იყრიან თავს უმთავრესად ისეთი პირები, რომელნიც დაქირავებულ შრომას, ან პირველად, ან ხანგამოშვებით მიმართავენ.

1924 წლის კანონით ნახევრად კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული იყო დაქირავებითი განუწყვეტელი მუშაობის შემდეგი საეალდებულო ხანგრძლივობა:

ა) **მუშებისათვის**, თუ ისინი პროფკავშირის წევრებად ირიცხებიან — 1 წლის, ხოლო პროფკავშირის არა წევრთათვის—3 წლისა.

ბ) **მოსამსახურეთათვის**, თუ ისინი კავშირის წევრნი არიან—3 წლის და კავშირის არა წევრთათვის—ხუთი წლისა.

ამ მხრივ გაერონაკლისს შეადგენდენ მხოლოდ მცირე წლოვანნი 18 წლამდე და დემობილიზაცია ქმნილი წითელი არმიის უფროსი შემადგენლობის პირნი, თუ ეს პირნი დაქირავებულ შრომას ეწეოდენ პირველნი—უმუშევრად დარჩენამდე, ხოლო მეორენი—ჯარში გაწვევამდე. ასეთი პირები უმუშევრობისაგან იზღვევიან მიუხედავად დაქირავებითი მუშაობის ხანგრძლივობისა.

1928 წლის დასაწყისიდან ჩვენმა კანონმდებლობამ არსებითი ცვლილება შეიტანა დაქირავებითი მუშაობის ხანგრძლიობის ვადის განსაზღვრაში.

მაგალითად, ამ კანონის მიხედვით უმუშევრობის შემთხვევებში დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ მიუხედავათ დაქირავებითი მუშაობის სტაჟისა: ყველა, როგორც მუშები ისე მოსამსახურენი, თუ ისინი თავისი კვალიფიკაციის მიხედვით შესაძლებელია მიეკუთვნონ უმუშევრობის პირველ კატეგორიას. მეორე კატეგორიის უმუშევარი მუშები, თუ ისინი პროფკავშირის წევრნი არიან. აგრეთვე უმუშევრები 18 წლის ასაკამდე და წითელი არმიის ნაწილებიდან გაშვებულნი, როგორც გრძელვადიან შვებულებაში, ისე სრულიად დათხოვნილნი სამსახურიდან. განუწყვეტელი დაქირავებითი მუშაობის სტაჟი არ არის საჭირო აგრეთვე იმ ინვალიდებისათვის, რომლებსაც პროტეზის გაკეთების შემდეგ შეუძლიათ მუშაობა დი სამუშაო ვერ უშოვნიათ.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის უმუშევრებს ახალი კანონის მიხედვით უნდა ჰქონდეთ, როცა პროფკავშირის წევრნი არიან დაქირავებითი მუშაობის 6 თვის განუწყვეტელი სტაჟი უმუშევრად დარჩენის დღემდე.

მოსამსახურეებიდან: მეორე და მესამე კატეგორიის უმუშევრებს, იმ შემთხვევაში, როცა ისინი პროფკავშირის წევრნი არიან უნდა ჰქონდეთ დაქირავებითი მუშაობის 3 წლის განუწყვეტელი სტაჟი. ყველა დანარჩენ უმუშევრებიდან (მეორე და მესამე კატეგორიის) კანონიმოითხოვს დაქირავებული მუშაობის 3 წლის სტაჟს.

3. უზრუნველყოფის ხანგრძლივობა.

1928 წლამდე დახმარებაზე ჩარიცხული უმუშევარის უზრუნველყოფის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა პირველი კატეგორიის უმუშევარისათვის წელიწადში 9 თვით, ხოლო მეორე კატეგორიის უმუშევართათვის 6 თვით.

მაშასადამე, თუ დახმარების შეწყვეტის შემდეგ პირველი კატეგორიის უმუშევარი 3 თვის, ხოლო მეორე კატეგორიის 6 თვის განმავლობაში სამუშაოს ვერ იშოვნიდა, ხელმეორედ უახლდებოდა ასეთ უმუშევრებს დახმარების მიეცემა დაბზღვევ კასსიდან.

1928 წლის დასაწყისიდან, როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე კატეგორიის უმუშევრებს დახმარება ეძლევათ წელიწადში 9 თვის განმავლობაში. ამნაირად, ახალმა კანონმა მეორე და მესამე კატეგორიის უმუშევრები დახმარებით უზრუნველყოფის მხრივ პირველი კატე-

გორიის უმუშევრებს გაუთანასწორა. მაგრამ ამავე კანონის მიხედვით უმუშევართა უზრუნველყოფის ხანგრძლივობა განისაზღვრა უმუშევრობის ერთი პერიოდისათვის 18 თვით, რის შემდეგაც უმუშევარი, მიუხედავად უმუშევრობის ხანგრძლივობისა დახმარებაზე აღარ იქნება ჩარიცხული.

მაგალითად, უმუშევრობის ერთი პერიოდი *) 3-4 წელიწადი რომ გაგრძელდეს უმუშევარი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 18 თვით იქნება უზრუნველყოფილი დამზღვევი კასსიდან.

1928 წლამდე კი ასეთი ვადა, მაშინდელი კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული და უმუშევარს უფლება ჰქონდა დახმარება მიეღო დამზღვევი კასსიდან ყოველ წლიურად, თავისი კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ წელიწადს გრძელდებოდა უმუშევრობის ერთი პერიოდი.

4. დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვის მოძრაობა.

დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვის მოძრაობა დამოკიდებულია ერთის მხრივ შრომის ბაზრის მდგომარეობაზე, ხოლო მეორეს მხრივ—კანონმდებლობაზე. შრომის ბაზარი განსაზღვრავს უმუშევართა საერთო რიცხვის რეზერვს. კანონმდებლობა კი უმუშევართა საერთო რიცხვიდან ფარგლავს იმ წრეს, რომელზედაც გავრცელებული უნდა იქნეს სოციალური დაზღვევა. ამიტომ

*) უმუშევრობის ერთ პერიოდად ითვლება ის დრო, რომელიც გაივლის სამუშაოს დაკარგვის დღიდან სამუშაოზე გამოსვლამდე, თუ ეს სამუშაო დროებით ხასიათს არ ატარებს.

არის, რომ ხშირათ უმუშევართა საერთო რეზერვს არ შეეფარდება დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვის წლების მიხედვით მოძრაობა.

ის ნახტომები, რომელსაც ადგილი აქვს წლების მიხედვით დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვის მოძრაობაში, გამოწვეული არის უმთავრესად ჩვენი კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობით. დაწყებული 1924 წლიდან 1928 წლამდე დაახლოებით 15 სხვა-და-სხვა კანონი და განმარტებანი იყო გამოცემული უმუშევართა დახმარებაზე ჩარიცხვის შესახებ. ეს კი იწვევდა ხან გაფართოებას დახმარებაზე ჩასარიცხ უმუშევართა წრისას და ხან შეზღუდვას.

მაგალითად, თუ ავიღებთ უმუშევართა, როგორც საერთო, ისე დახმარებაზე ჩარიცხულ რიცხვის მოძრაობას წლების მიხედვით, 1925 წელთან შედარებით შემდეგ სურათს იძლევა:

საანგარიშო თარიღი	უმუშევართა საერთო რეზერვი	დახმარებაზე ჩარიცხული უმუშევარნი
1925 წ. 1 ოქტომბრისათვის	100,0	100,0
1926 „	123,2	82,0
1927 „	127,0	97,8
1928 „	156,0	254,6

დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა რიცხვი

დამზღვევი ერთეულები	1925 წ.		1926 წ.		1927 წ.		1928 წ.	
	1 ოქტომბრისათვის							
	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვ.	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვ.	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვ.	აბსოლ. რიცხვი	1000 დაზღვ.
საქ. სოც. საბჭ. რესპ.	4277	48,1	3509	32,3	4184	37,8	10635	93,2
მათ შორის:								
ტფილისი	3304	86,1	2428	52,2	3000	65,0	7227	149,2
აჭარისტანი	150	17,0	367	40,9	402	49,2	525	54,7
ქუთაისი .	73	9,5	147	13,8	271	25,6	455	39,1
აფხაზეთი	105	15,4	310	44,3	276	32,2	1612	162,0
ჭიათურა	82	15,9	27	4,2	21	2,6	147	25,8
ფოთი .	430	243,9	57	24,7	32	13,1	73	33,1

დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა კატეგორიის მიხედვით შემადგენლობა (%%-ში)

დამზღვევი ერთეულები	1924 წ.		1925 წ.		1926 წ.		1927 წ.			1928 წ.		
	ოქტომბრის 1 რიცხვისათვის											
	I ჯგ.	II ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.
საქ. საბჭ. ს. რ.	23,7	76,3	19,2	80,8	18,5	81,5	14,2	35,1	50,7	17,1	18,5	64,4
მათ შორის												
ტფილისი .	26,0	71,0	21,8	78,2	19,3	80,7	14,5	22,2	63,3	16,9	15,8	67,3
აჭარისტანი . .	23,7	76,3	20,7	79,3	21,9	78,1	19,2	58,7	22,1	21,7	13,7	64'6
ქუთაისი .	30,4	69,6	30,1	69,9	17,5	82,5	13,3	71,6	15,1	20,0	18,5	61,5
აფხაზეთი .	15,8	84,2	10,5	89,5	14,3	85,7	14,5	85,5	—	22,1	31,5	46,4
ჭიათურა .	44,4	55,6	28,1	71,9	8,0	92,0	—	100,0	—	2,7	36,1	61,2

დახმარებაზე ჩარიცხულ უმუშევართა კატეგორიების მიხედვით პროცენტული განაწილება

ცხრილი № 13.

საბჭ. სოციალ. რესპუბლიკები	1924 წელი		1925 წელი		1926 წელი	
	ოქტომბრის 1 რიცხვისათვის					
	I კატ.	II კატ.	I კატ.	II კატ.	I კატ.	II კატ.
საბ. სოც. რესპუბლ. კავშირი	25,9	74,1	23,1	76,9	27,5	72,5
მ ა თ შ ო რ ი ს						
რუს. საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკა	23,9	76,1	21,7	78,3	26,0	74,0
უკრაინის	31,0	69,0	26,1	73,9	29,7	70,3
საქართველოს	23,7	76,3	19,2	80,8	18,5	81,5
ადერბეიჯანის	—	—	30,5	69,5	25,6	74,4
სომხეთის	—	—	12,0	88,0	9,6	90,4

თუ დაზღვეულ უმუშევართა რიცხვის მოძაობაზე გავლენას ახდენს, ერთის მხრივ შრომის ბაზრის მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ—კანონმდებლობა,—ამ რიცხვის კატეგორიების მიხედვით დაჯგუფება დამოკიდებულია—უმუშევართა მასსის კვალიფიციურ შემადგენლობაზე.

განვლილ წლებში ჩვენი სახალხო მეურნეობა განსაკუთრებულ მოთხოვნილებას უყენებდა შრომის ბაზარს კვალიფიციურ მუშა ხელზე. ამიტომ უმუშევართა პირველი კატეგორიის დაზღვეულთა რიცხვის ხვედრითი წონა თანდათან კლებულობდა. რაც შეეხება არა კვალიფიციურ მუშა-ხელს, წინააღმდეგ, უმუშევართა ეს კატეგორია წლითი-წლობით დაზღვეულთა რიცხვის ზრდას იძლევა და ეს ასე ხდება არა მარტო საქართველოში, ამავე გზით მიდის დაზღვეულ უმუშევართა რიცხვის მოძრაობა ამიერ კავკასიის ყველა რესპუბლიკებში. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს რუსეთის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკა და უკრაინა, სადაც 1924—25 წლებში დასახული ტენდენცია, უმუშევართა პირველი კატეგრრიის დაზღვეულთა რიცხვის შემცირებისა, 1926 წელში ხელმეორედ იზრდება.

ნ. უმუშევრობის გამო თვიური დახმარების ნორმები.

უმუშევართა თითოეული კატეგორიისათვის დახმარების სხვადასხვა ნორმებია დაწესებული. დახმარება მაქსიმალურ ნორმის მიხედვით კვალიფიციურ მუშა-მოხამსახურეებს ეძლევათ, ხოლო მინიმალური—არა კვალი-

ფიციურ მუშა-მოსამსახურეთ. 1927 წლის დეკემბრამდე, როცა უმუშევართა შემადგენლობა ორ კატეგორიად იყოფება, დახმარების თვიური ნორმაც ორნაირი იყო. აგრეთვე 1927 წლის დეკემბრამდე დახმარების ოდენობის განსაზღვრის საქმეში ოჯახური მდგომარეობა უმუშევრისა მხედველობაში არ იყო მიღებული.

1927 წლის დეკემბრიდან, ისე, როგორც უმუშევართა შემადგენლობა განაწილდა სამ კატეგორიად, დახმარების ნორმებიც თვითეული კატეგორიისათვის სხვადასხვა ოდენობისა დაწესდა. გარდა ამისა, ამ წლიდან შემოღებული იქნა ძირითად დახმარებაზე დანამატი დახმარება უმუშევარის ოჯახის წევრების რიცხვის მიხედვით.

მაგალითად, უმუშევარის ძირითად დახმარებას ემატება:

ოჯახის ერთ წევრზე—10%, ოჯახის ორ წევრზე—25% და როცა უმუშევარს სამი ან მეტი ოჯახის წევრი ჰყავს შესანახი—35 %.

ოჯახური მდგომარეობის გამო დაწესებული დანამატი საშუალოდ თვიურ ძირითად დახმარებაზე უდრის 1 მ. 05 კ. ანუ თვიური ძირითადი დახმარების 7,0 პროცენტს.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თვიური დახმარების ოდენობის წლების მიხედვით ზრდის სურათს.

უმუშევართა თვიური დახმარების ნორმების მოძრაობა.

საანგარიშო თარიღი	ძირითადი დახმარება ოჯახური დახმარების ჩათვლით (მანეთებში და კაპეიკ.)				
	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	სამეულად ყველა კატეგორიანი ოჯახებისა	%%-ში წინა წელთან შედარებით
1924 წ. I ოქტომბ.	7—50	5—25	—	6—34	—
1925 „	15—00	10—00	—	11—47	180,9
1926 „	15—00	10—00	—	10—92	95,2
1927	23—25	16—29	14—37	16—08	138,2
1928 „	24—51	17—55	13—56	16—02	99,6

რიგორც აღნიშნული გვქონდა, უმუშევრობის გამო დახმარების ნორმების გადიდება მოხდა 1927 წლის უკანასკნელ თვეებში. მაგრამ ამა წლის 1 ოქტომბრისათვის ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს დამზღვევმა კასსებმა. უმუშევართა მთელი მასსის სამ კატეგორიათ დანაწილება. ამიტომ იმ უმუშევრების ერთი ნაწილი, რომელიც თანახმად ახალი დებულებისა, გადაყვანილი უნდა ყოფილიყო პირველ კატეგორიიდან მეორეში, ან მეორედან პირველში დახმარებას ღებულობდენ 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის ჯერ კიდევ პირველი ან მეორე კატეგორიის მიხედვით. ამით არის გამოწვეული თვიური დახმარების ნორმის 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის 0,4%-ით შემცირება.

V. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვა

როგორც ვიცით, დამქირავებელი დაქირავებულ პირს სამუშაო ხელფასს მხოლოდ ნამუშევარ დღეების მიხედვით აძლევს, ე. ი., თუ მუშა-მოსამსახურე, რაიმე მიზეზის გამო, ამა თუ იმ დღეს არ გამოვა სამუშაოზე, გაცდენილი სამუშაო დღის ხელფასს სამსახურის ადგილიდან ვერ მიიღებს. ისეთი მიზეზები კი, რომელნიც აიძულებენ დაქირავებულ პირთ გამოტოვონ ხოლმე სამუშაო დღეები—მრავალია. ამ მიზეზებს შორის პირველი ადგილი **მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევას უჭირავს.** სოციალური დაზღვევის შემოღებამდე ასეთ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურე სამუშაო ხელფასს ჰკარგავდა და, ამნაირად, იმ გაჭირვებას, რომელიც აიძულებდა მას გამოეტოვებინა სამუშაო დღე, ზედ ერთოდა მეორე გაჭირვება—**სამუშაო ხელფასის დაკარგვა.**

სოციალური დაზღვევის შესახებ არსებული კანონმდებლობით, დაქირავებული პირი ამჟამად დაზღვეულია სამუშაო ხელფასის დაკარგვისაგან **მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევებში.** ხელფასს, რომელსაც დაქირავებული პირი ჰკარგავს სამსახურის ადგილზე ეხლა დამზღვევი კასსა უნაზღაურებს მას,

1. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის მიზეზები

იმ მრავალგვარ მიზეზებს, რომელნიც წინ მიუძღვიან მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევებს, სოციალური დაზღვევის სტატისტიკა ოთხ მთავარ ჯგუფად ანაწილებს.

პირველ ჯგუფში შედიან ისეთი შემთხვევები, როცა მუშა-მოსამსახურე მუშაობის უნარს ჰკარგავს ზოგადი მიზეზების გამო, ე. ი. როცა ავად ხდება სხვადასხვა სნეულებით, ან სახიჩრდება წარმოების გარეშე მომხდარი უბედური შემთხვევით.

მე-2 ჯგუფი—შეიცავს წარმოებაში მომხდარ დასახიჩრების შემთხვევებს, ე.ი. როცა მუშა-მოსამსახურე ზიანდება დაქირავებით მუშაობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევით, ანუ პროფესიონალური დასახიჩრებით.

მესამე ჯგუფში—ჰხვდებიან ისეთი შემთხვევები, როცა დაქირავებულ პირს შვებულება ეძლევა ორსულობისა და მშობიარობის გამო.

რაც შეეხება **მეოთხე ჯგუფს**, შემთხვევები, რომელნიც ამ ჯგუფში ჰხვდებიან, არ იწვევენ თვით დაქირავებული პირის მუშაობის უნარის დროებით დაკარგვას. დაქირავებული პირი ასეთ შემთხვევებში მხოლოდ სამუშაო ხელფასს ჰკარგავს იმის გამო, რომ მისი ოჯახის წევრი, ან ავად არის გადამდები სნეულებით და რომ ეს სენი დაქირავებულმა პირმა არ გადმოიტანოს თავის ოჯახიდან სამსახურის ადგილზე, მას ხსნიან სამსახურიდან

კარანტინის წესით, ან ოჯახის წევრი მძიმე ავადმყოფია და გარდა დაქირავებული პირისა, ავადმყოფს მომვლელი არავინა ჰყავს. ასეთ შემთხვევაშიც დაქირავებულ პირს ანთავისუფლებენ სამსახურიდან და დამზღვევი კასსის უზრუნველყოფაზე გადადის.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილში პირველი და მეორე ჯგუფის შემთხვევები შეჯამებულია ერთად, ვინაიდან 1924-25 და 1925-26 წლებში პროფესიონალური დასახიჩრების შემთხვევების აღნუსხვის საქმე ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ხშირად, დასახიჩრება, გამოწვეული სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევით და დასახიჩრება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა წარმოებასთან—ერთმანეთში ირეოდა.

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევების რიცხვი 100 დაზღვეულზე მიზეზის მიხედვით.

მუშაობის უნარის დაკარგვის მიზეზები	შემთხვევათა რიცხვი ყოველ 100 დაზღვეულზე			
	1924/25 წ.	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
1. ზოგადი დაავადება და პროფდასახიჩრება	68,8	73,4	76,6	90,0
2. კარანტინი და ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა . .	1,0	1,1	1,3	1,4
3. ორსულობა და მშობიაობის შემდეგი პერიოდი	1,0	1,0	1,3	1,1
სულ . .	70,8	80,5	79,2	92,6

2. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა.

ზემოდ ჩვენ გამოვარკვიეთ, თუ ყოველ 100 დაზღვეულზე მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის რამდენი შემთხვევა მოდიოდა წლებისა და მიზეზების მიხედვით. ეხლა კი განვიხილავთ, თუ თითოული შემთხვევა საშუალოდ რამდენი სამუშაო დღის გაცდენას იწვევდა. მაგრამ, ვიდრე სათანადო ცნობებს მოვიყვანდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია შევჩერდეთ ზოგიერთ წინასწარ შენიშვნებზე.

1. **ზოგადი დაავადების გამო მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის** საშუალო ხანგრძლივობა დამოკიდებულია ერთის მხრივ სნეულებათა შემადგენლობაზე. მაგალითად, ტიფის ეპიდემიის დროს მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა გაცილებით დიდია, ვიდრე ამას გრიპპის ეპიდემია იძლევა. მეორეს მხრივ ნაავადმყოფარი დღეების ხანგრძლივობაზე თვალსაჩინო გავლენას ახდენს სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის სიხშირე. დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ იქ, სადაც სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი ხშირია, მუშაობის უნარის დაკარგვის ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა მცირეა, ვიდრე იქ, სადაც ეს დაწესებულებანი დაშორებულია მოსახლეობიდან *) პირველ შემთხვევაში დაზღვეულ მოსახლეობას საშუალება აქვს მსუბუქ დაავადების დროსაც კი მიჰმართოს საექიმო

*) Куркин—санитарная статистика.

დახმარებას და თავის დროზე აღმოჩენილი საექიმო დახმარება, ბუნებრივია, შეამცირებს ავადმყოფობის ხანგრძლივობას. მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა სამკურნალო დაწესებულებები დაშორებულია დაზღვეულ მოსახლეობიდან, ავადმყოფი საექიმო დახმარებას მიჰმართავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. ამის გამო, ერთი რომ მსუბუქი დაავადების შემთხვევები აღნუსხვაში არ ხვდებიან, ხოლო მეორეს მხრივ, დაგვიანებით აღმოჩენა საექიმო დახმარების დაავადების გართულებას იწვევს. ამნაირად, აღნუსხვის საგნად ხდებიან რა დაავადების მხოლოდ მძიმე შემთხვევები, თავისთავად ცხადია, ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობაც დიდი უნდი იყოს.

გარდა ზემოთ დასახელებულ პირობებისა, ავადმყოფობის გამო განთავისუფლების ხანგრძლივობაზე გავლენა აქვს, აგრეთვე, დამზღვევი ორგანოების საექიმო კონტროლის, მეთვალყურეობის ორგანიზაციის მოწყობას და მკურნავ ექიმებთან დამზღვევი ორგანოების ურთიერთობას.

2. **კარანტინი და ავადმყოფი ოჯახის წევრის მოვლა.** ამ მიზეზით გაცემული განთავისუფლების, როგორც სიხშირეზე, ისე ხანგრძლივობაზე მთავარი გავლენა აქვს იმას, თუ როგორა აქვს დაყენებული ჯანმრთელობის ორგანოებს გადამდებ ორგანოებთან ბრძოლის საქმე. არის თუ არა სავალდებულო მოქალაქეთათვის გადამდებ სნეულებათა მძინვარების დროს ავადმყოფის განცალკევება— იძულებით მოთავსება ბარაკში და სხვა. ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში არ არის დამაკმაყოფილებელი. არის

მთელი რიგი სნეულებათა, რომელთა შესახებ სხვა რესპუბლიკებში არსებობს სავალდებულო დადგენილება ამ სენით შეპყრობილ ავადმყოფთა იძულებითი წესით განცალკევების—ბარაკში მოთავსების შესახებ და სხვა. საქართველოში კი წინააღმდეგ არის შემთხვევები, როცა ავადმყოფის ჰირისუფალს უნდა გააცალკევოს ავადმყოფი, მაგრამ ამის საშუალება მას არა აქვს. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ კარანტინის გამო განთავისუფლების საშუალო ხანგრძლივობა, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ყველაზე დიდი საქართველოშია.

3. ორსულობა-მშობიარობის გამო განთავისუფლების ხანგრძლივობა.

შრომის კანონმდებლობით დაზღვეული ქალები ორსულობის შემთხვევებში სამუშაოდან თავისუფლდებიან წინასწარ განსაზღვრული ვადით. მაგალითად, ქალები, რომელნიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, მშობიარობის წინ სარგებლობენ 8 კვირის შვებულებით და მშობიარობის შემდეგ მეორე 8 კვირით. ხოლო ქალები, რომელნიც გონებრივ შრომას მისდევენ, მშობიარობამდე სამუშაოდან თავისუფლდებიან 6 კვირით და მშობიარობის შემდეგაც ამდენივე ვადით.

ამნაირად, ორსულობა-მშობიარობის გამო გაცემული თითოეული შვებულების ვადა, ჩვენი კანონმდებლობით

წინასწარ არის განსაზღვრული და, მაშასადამე, საშუალო ხანგრძლივობის მერყეობას, თითქოს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ, როგორც ამის ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან დავინახავთ, სინამდვილეში ხშირია შემთხვევები, როცა ორსულობა-მშობიარობის გამო გაცემული შვებულების ხანგრძლივობა ხან მეტია კანონით გათვალისწინებულ ვადაზე და ხან ნაკლები.

მიზეზები, რომელნიც ნორმიდან გადახრას იწვევენ,— მრავალია, მათ შორის დავასახელებთ შემდეგ მიზეზებს:

ნორმაზე ნაკლებ ხანგრძლივობას ჩვენ ვღებულობთ იმ შემთხვევაში, როცა ორსული დედაკაცი თავის დროზე არ მიჰმართავს დამზღვევ ორგანოს შვებულების მისაღებად. აგრეთვე საშუალო ხანგრძლივობა მცირდება იმითაც, რომ არის შემთხვევები, როცა მშობიარობა მელოგინის გარდაცვალებით სრულდება.

ნორმაზე მეტ ხანგრძლივობის შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როცა მკურნავი ექიმი შეცდომას უშვებს ორსულობის დასაწყისის განსაზღვრის დროს და ორსულ ქალს შვებულებას აძლევს კანონით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე. გარდა ამისა, არიან სხვა მრავალი მიზეზები, რომელნიც იწვევენ ორსულობა-მშობიარობის გამო გაცემული შვებულების საშუალო ხანგრძლივობის მერყეობას, მაგრამ მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევების უუნარიანობის საშუალო ხანგრძლივობა

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის მიზეზები	ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა			
	1924/25 წ.	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
1. ზოგადი დაავადება და პროფდასახიჩრება .	12,8	11,9	11,9	11,1
2. კარანტინი და ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა	11,2	11,4	9,6	9,1
3. ორსულობა და მშობიაობის შემდეგი პერიოდი .	73,7	66,8	66,6	73,5
სულ . .	13,6	12,8	12,8	11.8

4. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეების რიცხვი.

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეების მაჩვენებელთა მოძრაობა დამოკიდებულია მრავალ ფაკტორზე.

დაზღვეულთა შემადგენლობა სქესისა და დარგების მიხედვით, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომელშიაც დაზღვეულ მოსახლეო-

ბას უხდება ყოველდღიური ცხოვრება, კანონმდებლობა დახმარების ნორმებისა და უზრუნველყოფის ხანგრძლივობის შესახებ, საექიმო დახმარების დონე, ავადმყოფ დაზღვეულთა მიმართ დამზღვევ კასსის მიერ შემუშავებული თვალყურის დევნების წესი და სხვა, აღებული ერთად,— განსაზღვრავენ მუშაობის უნარის დროებით დაკარგვას, როგორც შემთხვევების სიხშირეს, ისე ანაზღაურებული დღეების მაჩვენებელთა მოძრაობას.

როცა ერთი რაიონის, ან რესპუბლიკის ნაავადმყოფარ ანაზღაურებელი დღეების მაჩვენებლებს ვუპირდაპირებთ მეორე რაიონისას, როცა ამა თუ იმ წლის ცნობებს ვადარებთ მეორე წლის ცნობებთან, ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მოვლენების გავლენა გათვალისწინებული უნდა გვქონდეს. განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა წლების მიხედვით ვადარებთ ანაზღაურებული დღეების მაჩვენებლებს, რომელიმე, განსახილველათ აღებულ წელში ხომ არ მძინვარებდა რაიმე ეპიდემიური ხასიათის დაავადება.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტორები, სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ტემპით მოქმედებენ. ამიტომ ჩვენ ვღებულობთ ფრიად ჭრელ სურათს ანაზღაურებული დღეების მაჩვენებელთა მოძრაობისას ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

5. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეების რიცხვი 100 დაზღვევულზე წელიწადში.

დამზღვევი ერთეულები	1924/25	1925/26	1926/27	1927/28
	საოპერაციო წელში			
ტფილისი .	1093,7	1139,9	1202,7	1214,3
აპარისტანი .	933,5	937,2	857,8	1274,0
ქუთაისი .	678,6	750,2	955,0	1013,9
აფხაზეთი .	850,8	797,6	1005,1	1043,1
ჭიათურა . .	1479,5	1672,4	1174,8	1130,3
სენაკი .	641,4	808,0	701,5	678,4
გორი . .	510,4	576,1	526,5	667,2
ზუგდიდი . .	820,2	695,5	829,6	840,1
სიღნაღი .	422,4	438,4	511,1	626,4
ფოთი . . .	1625,1	1553,2	1313,0	1684,8
ოზურგეთი .	536,1	721,0	801,2	1228,8
თელავი .	729,2	539,8	693,2	755,9
ბორჯომი . . .	774,5	895,9	981,4	1101,8
სამხრეთ-ოსეთი .	644,7	769,6	722,3	747,6
ახალციხე . .	755,7	1179,8	947,6	1086,1
ბორჩალო .	691,3	632,6	793,9	631,0
დუშეთი .	531,9	420,2	650,7	896,9
რაჭა	შედ. ქუთ.	580,1	591,9	506,9
ახალქალაქი .	შედის ახალციხეში		632,1	410,8
ლეჩხუმი .	შედ. ქუთ.	776,1	551,7	483,6
სვანეთი	ცნობები არ არის			831,3
. ს უ ლ	965,2	1025,9	1014,2	1092,6

6. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეები წლებისა და თვეების მიხედვით

	ანაზღაურებული დღეები 100 დაზღვეულზე			
	1924/25 წ.	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ
ოქტომბერი .	65,9	82,0	63,1	90,2
ნოემბერი . .	69,3	67,6	64,2	79,4
დეკემბერი .	70,1	78,5	78,9	100,5
იანვარი . .	68,2	76,9	64,8	86,6
თებერვალი . .	73,9	83,1	85,4	97,9
მარტი . . .	79,0	110,2	93,1	104,7
აპრილი .	75,8	101,5	90,0	89.1
მაისი .	77,6	78,8	88,6	91,3
ივნისი .	98,4	100,7	92,5	92,7
ივლისი .	103,7	94.0	105,5	93,1
აგვისტო . .	91,2	76,7	95,7	90,1
სექტემბერი	94,0	75,9	92,1	88,0
საშუალოთ თვეში . .	80,4	85,5	84,5	91,0

როცა ანაზღაურებული დღეების მაჩვენებელთა მოძრაობას ვაკვირდებით წლების მიხედვით, ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ მაჩვენებელთა თანდათანი ზრდა. მაგალითად, თუ 1924/25 საოპერაციო წელში საქართველოს დამზღვევმა ორგანოებმა აანაზღაურეს მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ყოველ 100 დაზღვეულზე — 965,2 დღე, 1925/26 წ.—1025,9 დღ., ხოლო 1926/27 წ.

—1014,2 დღ., 1927/28 წელში ეს რიცხვი—1092,6 დღისას უდრის.

მუშათა კლასსის ნივთიერ მდგომარეობის, ჰიგინეურ სანიტარული პირობების და საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესებასთან ერთად, პარალელურად იზრდებიან ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებლები. აქ, ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობას აქვს ადგილი, ვინაიდან დაზღვეული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას შედეგათ უნდა მოჰყოლოდა ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებელთა შემცირება და არა ზრდა.

ამ მოვლენის ასახსნელად საჭიროა უფრო ხანგრძლივი დაკვირვების წარმოება. დაწვრილებით შესწავლა იმისა, თუ როგორ იცვლება თვით დაზღვეულთა შემადგენლობა სქესის, ჰასაკის და შრომის დარგების მიხედვით წლიდან წლამდე. რომელ წელში რომელი სნეულება მძვინვარებს და სხვა საშუალებას მოგვცემდა ამ მოვლენის გასაშუქებლად, მაგრამ ასეთი მასალები ჯერ დამზღვევ ორგანოებს არ მოეპოებათ.

მიუხედავად ამისა, შესაძლებლად მიგვაჩნია ზოგიერთ ზოგადი ხასიათის მიზეზებზე მაინც შეეჩერდეთ.

თუ თვალს გადავავლებთ გერმანიის დამზღვევი ორგანოების სტატისტიკურ მასალებს, დაწყებული 1885-1913 წლამდე, დავინახავთ, რომ ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებლები გამუდმებულ ზრდას განიცდიან მთელი 29 წლ. განმავლობაში.

მაგალითად, გერმანიაში ნაავადმყოფარი დღეების რიცხვი ყოველ 100 დაზღვეულზე საშუალოდ წელიწადში მოდიოდა:

1885—1894 წ. წ.	587,9 დღ.
1895—1904 წ. წ.	663,7 დღ.
1905—1913 წ. წ.	818,4 დღ.*)

შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ ხნის განმავლობაში გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. წინააღმდეგ ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინოთ გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი დონე, გაუმჯობესდა ცხოვრების ჰიგიენურ-სანიტარული პირობები, როგორც თვით წარმოებაში, ისე მის გარეშე, მაგრამ, თუ, მიუხედავად ამისა მაინც იზრდებიან ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებლები, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ, სხვათა შორის, გერმანიის მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღლებაში.

როგორც საერთოდ ცნობილია, რამდენათაც კულტურულად წინ მიდის ესა თუ ის ერი, ან მოსახლეობის ესა თუ ის ნაწილი, იმდენად იზრდება საექიმო დახმარებისადმი მიმართვის შემთხვევები. მაოსახლეობის უკულტურო ნაწილი საექიმო დახმარებისადმი მიმართვის მუდამ ნაკლებ შემთხვევებს იძლევა. სამაგიეროდ მოსახლეობის ამ ნაწილში ფრიად დიდი სიკვდილიანობის მაჩვენებლებია. წინააღმდეგ, მოსახლეობის კულტურულად წინმდგომი ნაწილი სიკვდილიანობის მცირე მაჩვენებლებს იძლევა.

*) Ф. Д. Маркузон. Стат. социального страхования, ст. 23

აგრეთვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ყველაზე უკეთესი დამახასიათებელი მოსახლეობის კეთილ დღეების გასაზომავად არის არა საექიმო დახმარებისადმი მიმართვის მაჩვენებლები, არამედ სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

თუ ამ თვალთახედვით განვიხილავთ ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებელთა მოძრაობას წლების მიხედვით ჩვენში და პარალელურად მოვიყვანთ სიკვდილიანობის მაჩვენებელთა მოძრაობას იმავე წლების მიხედვით, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას არ შეიძლება არ ვენდოთ.

აი, ეს ცნობებიც:

საანგარიშო თარიღი	ნაავადმყოფარი დღეების რიცხვი 100 დაზღვ—ზე	დაზღვეულთა გარდაცვალების რიცხვი 1000 დაზღვ—ზე	%%-ში წინა წ-თან შედარ.	
			ნაავადმყ. დღეების მაჩვენებ.	გარდაცვლ. მაჩვენებ.
1924/25 წელში . .	965,2	8,0	—	—
1925/26 „ .	1025,9	7,3	106,3	91,3
1926/27 „ .	1014,2	5,9	98,9	80,8
1927/28 „ .	1092,6	6,2	107,9	109,2

ამნაირად, 1924/25 წელთან შედარებით ნაავადმყოფარი დღეების მაჩვენებლები 1927/28 წელში გაიზარდენ 13,3%-ით, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებლებმა-კი დაიკლეს 22,5%-ით.

7. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეები სქესის მიხედვით.

როცა მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეების მაჩვენებლებს ვიხილავთ სქესის მიხედვით, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ყოველ 100 დედაკაცზე თითქმის ორჯერ მეტი მოდის ანაზღაურებული დღეების რიცხვი, ვიდრე 100 მამაკაცზე იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მარტო ზოგადი დაავადებით ანაზღაურებულ დღეებს ვიღებთ, (ორსულობა მშობიარობის გამოკლებით) დედაკაცებს შორის მუშაობის უნარის დროებით დაკარგის რისკი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მამაკაცებს შორის.

რაც შეეხება კარანტინისა და ოჯახის ავადმყოფი წევრის მოსავლელათ სამუშაოდან განთავისუფლების გამო ანაზღაურებულ დღეების მაჩვენებლებს, ყოველ 100 დედაკაცზე თითქმის რვა ჯერ მეტი მოდის, ვიდრე მამაკაცებზე. ამ მოვლენაზე გავლენას ახდენს ერთი მხრივ ბავშვთა ხშირი ავადმყოფობა, როცა დედის სამსახურიდან განთავისუფლება, მცირეწლოვანთა მოვლის თავისებური პირობების გამო, აუცილებელი ხდება, ხოლო მეორეს მხრივ კარანტინის წესით სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევები მასწავლებელ ქალთა შორის, საბავშვო სხვადასხვა გადამდებ სნეულებათა სიხშირის გამო მრავალია. ამას ზედ ერთვის დედაკაცის დედობის ხვედრი,

რომელიც სამუშაოდან ხანგრძლივ განთავისუფლებას მოითხოვს.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, თავისთავად ცხადია, უნდა ადიდებდეს ანაზღაურებელი დღეების მაჩვენებლებს დედაკაცთა შორის.

ანაზღაურებული დღეების რიცხვი ყოველ 100 დაზღვეულზე ხქესის მიხედვით.

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის მიზეზები	1925—26 წ.		1926—27 წ.		1927—28 წ.	
	მამ.	დედ.	მამ.	დედ.	მამ.	დედ.
ზოგადი დაავადება და პროფდასახიჩრება . .	875,7	1151,3	853,9	1165,9	950,5	1165,9
კარანტინი და ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა .	7,0	36,1	5,2	44,3	5,0	40,0
ორსულობა და მშობიარობის შემდეგი პერიოდი .	—	457,7	—	439,1	—	395,0
ს უ ლ .	882,7	1645,1	858,8	1648,3	955,5	1601,9

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეები ყოველ 100 დაზღვეულზე.

საბ. სოც. რესპუბლიკები	1927/28 წ.	1926/27 წ.	1925/26 წ.
საბ. სოც. რესპუბ. კავშირი .	1079,5	967,6	—
მ. შ.			
რუს. საბ. სოც. ფედ. რესპ. .	1144,2	1021,0	—
უკრაინის საბ. სოც. რესპ. .	988,1	866,4	—
საქართვ. „ „ .	1025,9	1014,2	1092,6
ადერბეიჯანის .	ცნობები არ არის	1004,1	1057,2
სომხეთის „ .	766,3	686,8	631,3

VI. მშობიარობის შემთხვევებში უზრუნველყოფა

როცა დაზღვეულ მოსახლეობის მშობიარობის მაჩვენებელთა მოძრაობას ვეცნობით, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

1. სოციალური დაზღვევის სტატისტიკის ამოცანას შეადგენს შეისწავლოს დაზღვეულ მოსახლეობის მშობიარობა, არა როგორც ბიოლოგიური მოვლენა, არამედ, როგორც **დაზღვევის რისკი**, რომელიც მოითხოვს დამზღვევი ორგანოებიდან განსაზღვრული ხარჯების გაწევას. ამიტომ სოციალური დაზღვევის სტატისტიკაში მშობიარობის შემთხვევების მხოლოდ ის ნაწილი ხვდება, რომელიც განაღდებულია დამზღვევი ორგანოების მიერ.

2. ვინაიდან მშობიარობის შემთხვევებში დახმარების გაცემას დამზღვევი ორგანოები არსებულ კანონმდებლობის მიხედვით აწარმოებენ, აშკარა, მშობიარობის მაჩვენებელთა მოძრაობაზე, კანონმდებლობაში ყოველგვარი ცვლილებების შეტანა, უშუალოდ გავლენას მოახდენს. ამიტომ მშობიარობის შესწავლა, როგორც ბიოლოგიური მოვლენისა, დამზღვევი ორგანოების მასალების მიხედვით, შეუძლებელია.

3. 1924/25 საოპერაციო წელში ჩვენი კანონმდებლობა ახლად შობილის მოსავლელად ერთდროული დახმარების მიღების უფლებას ანიჭებდა ყველა დაქირავებით მომუშავე პირს, თუ იგი მშობიარობის შემთხვევის დროს სამუშაოზე იმყოფებოდა. აღნიშნული კანონმდებლობა არ მოითხოვდა დაქირავებით მუშაობის არავითარ სტაჟს და ამიტომ, ვიდრე ეს კანონი ძალაში იყო, სოციალური დაზღვევის სტატისტიკაში ხვდებოდა მშობიარობის შემთხვევების მთელი 100 პროცენტი. მაგრამ 1926/27 წლის დასაწყისიდან აღნიშნულ კანონში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით, ახლადშობილის მოსავლელი დახმარების მიღების უფლებით შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც მშობიარობის შემთხვევის დროს სამსახურში იმყოფებოდენ განუწყვეტლივ არა ნაკლებ ექვსი თვისა. ამავე წლის უკანასკნელ თვეებში შეიცვალა დახმარების გაცემის წესიც. მაგალითად, თუ წინად დაზღვეული მშობიარობის შემთხვევამდე ერთი თვით ადრე ღებულობდა დახმარებას, ეხლა დახმარების გაცემას დამზღვევი ორგანოები მხოლოდ მშობიარობის შემდეგ აწარმოებენ, ამნაირად, თუ წინად ორსულობის შვიდი თვის შემდეგ ადგილი ექნებოდა მუცლის მოშლას, ან ბავშვი მკვდარი დაიბადებოდა, დაზღვეული დახმარებას მაინც ღებულობდა, ეხლა კი ყველა ასეთ შემთხვევებში დამზღვევი კასსიდან დახმარების გაცემა აღარ ხდება.

კანონმდებლობაში შეტანილ, აქ ჩამოთვლილ, ცვლილებებს, აშკარაა უნდა გამოეწვიათ დაზღვეულ მოსახ-

ლეობის მშობიარობის მაჩვენებელთა შემცირება 1926/27 საოპერაციო წელში. მართლაც, თუ წინა წლებში ყოველ 1000 ორივე სქესის აქტიურ დაზღვეულზე 127 მშობიარობის შემთხვევა მოდიოდა, 1926/27 წელში ეს რიცხვი 95 ჩამოვიდა. მაგრამ 1927/28 წელში ეს კანონიც შეიცვალა. ახალმა კანონმა გააუქმა დაქირაველებით მუშაობის სავალდებულო სტაჟი. თუ მშობიარობის შემთხვევას ადგილი აქვს იმ დროს, როცა მშობიარე, ან მისი მეუღლე სამსახურში ითვლება, მას დახმარება ეძლევა. მაგრამ სამაგიეროდ, 1927/28 წელში უწყებული კანონის მიხედვით ერთდროული დახმარება ახლად შობილის მოსავლელად ეძლეოდათ მხოლოდ იმ დაზღვეულთ, რომელნიც სამუშაო ხელფასს (ცოლქმრის ერთად აღებული) ღებულობდენ თვეში არა მეტს იმ მაქსიმუმისას, რომელიც დაწესებულია ამ რაიონისათვის მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევებში დახმარების გამოსაანგარიშებლად.

მაგრამ ამ წესს არ შეუძლია შეზღუდოს დაზღვეულთა წრე, რომელსაც უფლება ეკარგება დახმარების მიღებისა იმდენათ, რამდენათაც ამას იწვევდა დაქირაველებითი მუშაობის სტაჟის შემოღება. მართლაც 1926/27 საოპერაციო წელში, როგორც ეს ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, მშობიარობის შემთხვევების რიცხვი დახმარებით ანაზღაურებული, 1000 დაზღვეულზე, შედარებით 1926/27 საოპერაციო წელთან თვალსაჩინოდ გაიზარდა, საერთოდ კი მომავალ წლებში მშობიარობის

შემთხვევების მაჩვენებელთა ზრდას არ უნდა მოველოდეთ, წინაალმდეგ, მოსალოდნელია შემცირების ტენდენცია, ვინაიდან, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, დიდი ომებისა და რევოლუციების შემდეგ პირველ წლებში მოსახლეობის შორის მუდამ თავს იჩენდა ხოლმე მშობიარობის შემთხვევების ინტენსიობა. მაგრამ, შემდეგ მას მოჰყვებოდა ხოლმე ისევ შემცირება და უახლოვდებოდა ნორმალურ პერიოდის მშობიარობათა მაჩვენებლებს.

დახმარებით ანაზღაურებული მშობიარობის შემთხვევების მაჩვენებლები.

საანგარიშო თარიღი	მშობიარობის შემთხვევების რიცხვი					
	აქტიურად დაზღვეულ დედაკაცებს შორის		ოჯახის წევრებ შორის	სულ	უმუშ. და მათ ოჯახის წევრებს შორის	პენსიონ. და მათ ოჯ. წევრებს შორის
	1000 აქტიურად დაზღვეულ				1000 უმუშევარზე	1000 პენსიონერზე
	დედაკაცზე	მამაკაცზე	ორივე სქესზე	ორივე სქესზე		
1924/25 საოპ. წელი .	51,8	12,0	118,2	127,9	129,5	19,4
1925/26 „ .	52,3	12,1	117,0	126,8	80,8	21,7
1926/27 .	40,1	9,6	87,0	94,8	102,9	21,3
1927/28 „ .	41,9	11,3	97,0	105,9	83,3	20,9

აქტიურ დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრების მშობიარობის შემთხვევათა რიცხვი 1000 დაზღვეულზე რესპუბლიკების მიხედვით

რესპუბლიკები	1924/25 წ.		1926/27 წ.		1925/26 წ.	
	დაზღ. დედა-კაცთა 1000 დედაკაცზე	სულ ორივე სქესისა 1000 დაზღვეულზე	დაზღ. დედა-კაცთა 1000 დედაკაცზე	სულ ორივე სქესისა 1000 დაზღვეულზე	დაზღ. დედა-კაცთა 1000 დაზღვეულზე	სულ ორივე სქესისა 1000 დაზღვეულზე
ს. ს. რ. კავშირში	79,3	128,1	85,0	126,8	—	—
მათ შორის:						
რ. ს. ს. ფ. რესპუბ. . .	88,6	126,2	93,7	126,9	—	—
უკრაინის ს. ს. რ. . .	45,2	111,6	50,3	106,3	—	—
საქართველოს ს.ს.რ. .	51,8	127,9	52,3	126,8	40,1	94,8
ადერბეიჯანის ს.ს.რ. .	—	—	57,3	129,7	48,6	111,9
სომხეთის ს. ს. რ. . .	—	—	114,7	215,9	63,7	161,2

დაზღვეულთა ყველა კატეგორიების მშობიარობის შემთხვევები 1000 აქტიურ დაზღვეულზე დამზღვევ ერთეულების მიხედვით

დამზღვევი ერთეულები	1924/5 წ.	1925/6 წ.	1926/7 წ.	1927/8 წ.
ტფილისის დ/კ.	122,0	116,9	86.3	90,2
აჭარისტანის „	97,1	97,3	78,3	93,6
ქუთაისის „	138,5	151,5	115,1	124,9
აფხაზეთის „	70,9	65,9	81,7	60,4
ჭიათურის „	260,9	249,4	148,4	165,6
სენაკის „	140,0	153,7	105,9	165,1
გორის „	131,4	143,3	111,1	329,7
ზუგდიდის „	155,9	134,9	114,5	93,3
სილნაღის „	106,6	139,1	109,6	144,3
ფოთის „	191,6	151,1	113,8	94,0
ოზურგეთის „	153,8	137,9	145,6	194,0
თელავის „	130,8	137,7	99,9	106,1
ბორჯომის „	200,3	170,3	143,7	141,4
სამხრეთ ოსეთის დ/კ.	215,7	192,8	167,2	187,4
ახალციხის დ/პუნქტი	203,7	194,8	151,8	139,2
ბორჩალოს „	171,1	166,9	115,0	161,7
დუშეთის „	148,9	146,6	98,8	124,4
რაჭის „	შედ. ქ.	217,6	206,0	229,5
ახალქალაქის „	შედის ახალც.		125,9	205,0
ლეჩხუმის „	შ. ქუთ	143,8	73,2	102,2
სვანეთის „	ცნობები არ არის			129,0
სუ ლ	133,4	132,0	100,7	113,6

ახლად შობილის მოსავლელი ერთდროული დახმარების ოდენობა

გარდა იმისა, რომ მშობიარობის შემთხვევებში დაზღვეულნი და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ერთდროული დახმარებით, ახლად შობილის საკვებად მათ ეძლევათ 9 თვის განმავლობაში ბავშვის საკვები დახმარება ანუ ეგრეთ წოდებული რძის ფული. დახმარების ეს ნორმები წლების მიხედვით განიცდიდენ შემდეგ ცვლილებებს.

საანგარიშო თარიღი	ერთდროული დახ.			საკვები დახმ.		
	აბსოლუტური		%-ში წინა წელთან	აბსოლუტური		%-ში წინა წელთან
	მან.	კ.		მან.	კ.	
1924 წლის 1 ოქტომ. . .	13	—	—	3	50	—
1925 „ .	25	—	192,3	6	30	180 0
1926 „ „ .	25	—	100,0	6	30	100,0
1927 „ .	26	55	106,2	6	30	100,0
1928 .	25	36	95,5	6	27	99,5

VII. გარდაცვალების მაჩვენებლები დაზღვეულთა კატეგორიების მიხედვით

ქვემოდ მოყვანილი ცნობები გვიჩვენებენ, თუ დაზღვეულთა რომელი კატეგორია გარდაცვალების შემთხვევათა როგორ ინტენსიობას იძლევა, ე. ი. თითოეული კატეგორიის ყოველ 1000 დაზღვეულზე რამდენი სული კვდება საშუალოდ წელიწადში.

როცა ამ ცნობებს ვაკვირდებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გარდაცვალების მაჩვენებლები დაზღვეულთა თვითეულ კატეგორიაში სხვადასხვა ოდენობისაა. მაგალითად, იმ დროს, როცა აქტიურ დაზღვეულთა შორის ყოველ 1000 დაზღვეულზე საშუალოდ წელიწადში 6,9 კაცი კვდება, ხოლო უმუშევართა შორის—13, ამავე დროს ყოველ 1000 შრომის ინვალიდიდან დაახლოვებით 73,7 კაცი კვდება.

ამ მოვლენის ასახსნელად საჭიროა გავითვალისწინოთ დაზღვეულთა თვითეული კატეგორიის ერთის მხრივ საასაკო შემადგენლობა, ხოლო მეორეს მხრივ თითოეული ეს კატეგორია როგორ არის უზრუნველყოფილი ნივთიერად. როგორც ვიცით, შრომის ინვალიდების შემადგენლობა არსებითად განსხვავდება დაზღვეულთა და-

ნარჩენ კატეგორიებისაგან. ჯერ ერთი რომ შრომის ინვალიდების თითქმის 60% ხანში შესული პირებია, მეორეც ყველა მათგანი დაავადებულია სხვადასხვა სნეულებით. დაზღვეულთა ამ კატეგორიის ასეთი შერჩეული შემადგენლობა, თავისთავად ცხადია, გარდაცვალების შემთხვევათა დიდ მაჩვენებლებს მოგცემს.

რაც შეეხება უმუშევართა საასაკო შემადგენლობას, იგი საერთოდ არ უნდა განსხვავდებოდეს აქტიურ დაზღვეულთა შემადგენლობიდან, მაგრამ 1924/25 წელში გარდაცვალების მაჩვენებელი უმუშევართა შორის მაინც ორჯერ მეტია, ვიდრე აქტიურ დაზღვეულთა შორის. მართალია, უმუშევართა ნივთიერი მდგომარეობა ფრიად განსხვავდება აქტიურ დაზღვეულთა ნივთიერი მდგომარეობიდან, მაგრამ მარტო ეს ერთი ფაქტი არ უნდა იძლეოდეს გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების ასეთ დიდ განსხვავებას. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში გარდაცველების მაჩვენებელის სიდიდეზე გავლენას ახდენს 1924/25 წლის დასასრულამდე არსებული წესი, როცა მე-IV ჯგუფის ინვალიდები დახმარებას ღებულობდენ, როგორც უმუშევარნი და შედიოდენ უმუშევართა შემადგენლობაში.

1. გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების მოძრაობა წლების მიხედვით.

როცა გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების მოძრაობას ვაკვირდებით წლების მიხედვით, ჩვენს ყუ-

რადღებას იქცეს ის გარემოება, რომ დაწყებული 1924/25 წლიდან, გარდაცვალების მაჩვენებლები დაზღვეულთა ყველა კატეგორიებში ყოველწლიურ შემცირებას განიცდიან. მაგალითად, 1926/28 წელში, 1924/25 წელთან შედარებით გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების შემცირება.

ა) აქტიურ დაზღვეულთა შორის 22,5%
ბ) შრომის ინვალიდთა „ 31,4%
გ) უმუშევართა „ 56,9%

გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების მოძრაობაზე მრავალი ფაქტორები ახდენენ გავლენას. მათ შორის მთავარია: მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობა, კულტურული დონე, სანიტარულ-ჰიგინეური პირობები და მოსახლეობას შემადგენლობა ჰასაკის მიხედვით.

დაწყებული 1924/25 წლიდან თითოეული ეს ფაქტორი თავის გავლენას ახდენს გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების მოძრაობაზე. ჩვენში გაუმჯობესდა დაზღვეული მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობა. მაგალითად, 1924/25 წელთან შედარებით, 1926/27 წელში საშუალო ხელფასი გაიზარდა 27,3%-ით. შრომის ინვალიდების თვიური პენსიის ოდენობამ მოიმატა 89,7%-ით. ხოლო უმუშევართა თვიურ დახმარების ოდენობა გაიზარდა 93,9%-ით. გაუმჯობესდა საბინაო პირობები, საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე და ბრძოლის საშუალებები სოციალურ სნეულებების წინააღმდეგ. გარდა ამისა დაზღვეული მოსახლეობის საასაკო შემადგენლო-

ბა შეიცვალა. 1918, 19, 20 ⁄ 21 წლებში სამოქალაქო ომებმა, შიმშილობამ, სიტიტვლემ და აუწერელმა ანტი-სანიტარულმა პირობებმა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ხანში შესული იყო და ფიზიკურად სუსტი—გასწყვიტა. დარჩა უფრო ახალგაზრდა თაობა, ფიზიკურად გამძლე და შედარებით ჯანმრთელი. აი, ყველა ეს ფაქტორები, ერთად აღებული, ხელს უწყობდენ განხილულ წლებში გარდაცვალების შემთხვევათა მაჩვენებლების თანდათან შემცირებას.

გარდაცვალების შემთხვევების რიცხვი დაზღვეულთა კატეგორიების მიხედვით (ოჯახის წევრების გამოკლებით)

საანგარიშო თარიღი	აქტ. დაზღვეულების გარდაცვალების შემთხვ.		ინვალიდების გარდაცვალების შემთხვ.		უმუშევრების გარდაცვალების შემთხვ.	
	1000 აქტიურ დაზღვეულზე	1924/25 %%-ში წელთან	1000 აქტიურ ინვალიდზე	%%-ში 1924/25 წელთან	1000 აქტიურ უმუშევარზე	%%-ში 1924/25 წელთან
1924/25 საოპ. წელი .	8,0	100,0	85,3	100,0	16,0	100,0
1925/26 საოპ. წელი . .	7,3	91,3	78,3	91,8	ცნ. არ არის	—
1926/27 საოპ. წელი .	5,9	73,8	62,4	73,2	9,6	60,0
1927/28 საოპ. წელი .	6,2	77,5	68,6	79,9	6,8	43,1

გარდაცვალების შემთხვევები დაზღვეულ მოსახლეობის შორის (თვით დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრების)

საანგარიშო თარიღი	გარდაცვალების შემთხვევების რიცხვი მოდის		
	დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრები	პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრები	უმუშევართა და მათი ოჯახის წევრების
	1000 აქტიურ დაზღვეულზე	1000 პენსიონერთა	1000 უმუშევარზე
1924/25 საოპერ. წელში .	44,2	79,5	55,0
1925/26 „ „ .	46,7	72,8	ცნობა არ არის
1926/27 „ .	40,8	55.5	50,0
1927/28 .	39,3	62,0	33,0

აქტიურ დაზღვეულთა გარდაცვალების შემთხვევები 1000 აქტიურ დაზღვეულზე სხვადასხვა ქვეყნებში

ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი	საანგარიშო თარიღი	გარდაცვალების შემთხვევები 1000 დაზღვეულზე
1. ნორვეგია	1921	4,9
2. უკრაინა	1925/26	4,9
3. სომხეთი		5,0
4. რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკა	„	6,2
5. ადერბაიჯანი	„	6,7
6. გერმანია	1910—1913	7,2
7. საქართველო	1925/26	7,3
8. ვენგრია	1922	7,6
9. ჩეხოსლოვაკია	1922	7,7
10. ავსტრია	1921	8,9

დაზღვეულთა ყველა კატეგორიების და მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების შემთხვევების რიცხვი 1000აქტიურ დაზღვეულზე დამზღვევ ერთეულების მიხედვით

დამზღვევი ერთეულები	1924/25 წ.	1925/26 წ.	1926/27 წ.	1927/28 წ.
ტფილისის დ/კ. . .	45,1	45,1	41.5	38,2
აჭარისტანის „ .	35,1	42,3	34,3	99,9
ქუთაისის „ .	47,3	59,3	56,0	52,1
აფხაზეთის „ .	39,6	31,9	41,7	32,2
ჭიათურის „ .	70,4	94,1	57,1	56,7
სენაკის „ .	53.6	60,2	39,8	56,2
გორის „ .	46,6	51,4	53,7	69,2
ზუგდიდის „ .	49,1	40,0	47,9	41,0
სიღნაღის „ .	45,7	51,6	37,4	56,1
ფოთის „ .	92,7	74.6	70,2	66,8
ოზურგეთის „ .	53,6	56,3	74,1	96,8
თელავის „ .	47,9	51,0	42,2	40,4
ბორჯომის „ . .	58,2	67,8	73,1	48,3
სამხრეთ ოსეთის დ/კ. .	63,5	50,6	71,4	60,5
ახალციხის დ/პუნქ. . .	65,4	76,2	62,6	67,0
ბორჩალოს „ .	45,5	65,6	37,5	50,2
დუშეთის „ .	70,3	63,9	51,3	50,9
რაჭის „ .	შ. ქუთ.	61,2	81,9	78,5
ახალქალაქის „ .	შ ე დ ი ს.	ა ხ ა ლ ც.	47,8	64,8
ლეჩხუმის „ .	შ. ქუთ	51,6	12,2	38,3
სვანეთის „	ც ნ ო ბ ე ბ ი	ა რ	ა რ ი ს	32,3
ს უ ლ .	48,4	51,2	45,7	45,5

გარდაცვალების გამო დასამარხი დახმარების ნორმები.

საანგარიშო თარიღი	დასამარხი დახმარება					
	10 წლ. ასაკ. და უხნ.		10 წლამდე		%%-ში წინა წელთან	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ	10 წლამ-დე	10 წ. და უხნეს.
1924 წლის 1 ოქტომბრისათვის . .	13—00				—	—
1925 „ .	50	—	25	—	384,6	192,3
1926 .	50	—	25	—	100,0	100,0
1927 .	39	41	15	75	78,8	63,0
1928 „ .	29	65	14	63	75,2	92,9

VIII. დასასვენებელი სახლები

პროფილაქტიკამ, როგორც მუშათა კლასის ჯანმრთელობის დასაცავმა საშუალებამ, თავიდანვე მიიქცია საბჭოთა სოციალური დაზღვევის ორგანოების სათანადო ყურადღება. საქართველოს გასაბჭოების მეორე წელშივე, ე. ი. 1922 წელში მოეწყო ორი დასასვენებელი სახლი—მცხეთაში, ტფილისის ახლოს და მახინჯაურში (აჭარისტანი). 1923 წელში მახინჯაურის დასასვენებელი სახლი დაიხურა, ხოლო სამაგიეროდ, გაიხსნა ახალი დასასვენებელი სახლები: ბორჯომის რაიონში—წაღვერის და ბორჯომის. გორის მაზრაში—სურამის და შორაპნის მაზრაში—საჩხერის. 1924 წელში ამ სახლებს მიემატა: სიღნაღის მაზრაში—ბოდბის და აფხაზეთში—წებელდის. 1925 წელში საჩხერის დასასვენებელი სახლი დაიხურა, ხოლო მოეწყო ახალი დასასვენებელი სახლი აფხაზეთში—გაგრის, ქუთაისის ახლოს—წყალტუბოსი. დაწყებული 1925 წლიდან 1927 წლის დასასრულამდე დასასვენებელი სახლების ქსელში ცვლილება არ მომხდარა.

დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურენი, იგზავნებოდენ ორი კვირით, მორიგი შვებულების დროს, თუ ეცა გამონაკლის შემთხვევებში ამ ვადის გაგრძელებაც ხდებოდა ხოლმე.

დამსვენებელთა რიცხვის მოძრაობა წლების მიხედვით.

ცხრ. № 33.

საანგარიშო თარიღი	დამსვენებელთა რიცხვი			
	აბსოლუტური	1000 დასვენებულ	მათ შორის (%%-ში)	
			ფიზიკურ.	გონებრივ.
1924-25 საოპერაც. წელი	4841	59,4	75,5	25,5
1925-26 „ „	4284	43,8	75,7	24,3
1926-27 „ „	4700	44,0	66,5	33,5
1927-28 „ „	4224	37,0	73,0	27,0

დამსვენებელთა რიცხვის განაწილება პროფკავშირების მიხედვით.

ცხრ. № 34.

პროფკავშირთა დასახელება	%% დამსვენებ. საერ. რიც.			
	1924-25 წ.	1925-26 წ.	1926-27 წ.	1927-28 წ.
რკინის გზელთა . . .	14,4	18,0	16,9	21,5
საბ. და სავაჭ. კავშ. . .	13,2	14,0	16,5	14,1
განათლების . .	12,0	12,1	11,2	10,3
გემოკვების .	8,5	7,7	5,9	5;1
მბეჭდავთა . .	7,1	6,3	6.3	6,8
მელითონეთა	6,4	4,4	4,7	4,7
კომუნალურ. მეურნ. .	5,9	5,6	5 2	5,4
მედსანშრომის . .	5,5	4,6	5,0	3,6
სამთო-მადნო .	3,4	2,4	2,6	2,8
ტრანსპორტის .	3,3	4,4	4,8	3,6
ნამბის მუშაკთა . .	2.9	2,9	3,0	2,9
მეტყავეთა .	2,8	2,6	2,5	2,1
ფეიქართა .	1,9	2,3	2,7	2,5
ხელოვანთა . .	1,7	1,1	1,3	1,4
ქიმიკოსთა .	1,6	1,9	1,4	1,4
მიწა-ტყის .	1,6	1,7	2,1	2,5
დანარჩენი . . .	7,8	6,6	7,1	8,4
გამოურკვევ . .	—	1,4	0,8	0,9
სულ . .	100,0	100,0	100,0	100,0
მათშორის:				
დედაკაცები. .	26,7	26,7	25,9	24,9

სანატორულ მკურნალობის დროს დაზღვეულს ეძ-ლევა მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახ-მარება მისი საშუალო ხელფასი სრული რაოდენობის მი-ხედვით, და გარდა ამისა დამზღვევი ორგანოები იხდიან სანატორიუმში დაზღვეულის შესანახს და სამგზავრო ხარ-ჯებს.

თითოეული დაზღვეულის სანატორიუმში შესანახად საქართველოს დამზღვევი ორგანოები ხარჯავდენ.

1925	წელში	. 210	მანეთს
1926	„	. 231	„
1927	„	215	„
1928	„	. 222	„

ყოველ 100 იმავე კავშირის წევრიდან დასასვენებლად იგზავნებოდა

ცხრ. № 35.

კავშირების დასახელება	1925 წ.	1926 წ.	1927 წ.
მბეჭდავთა კავშირი . .	21,3	15,5	13,6
მელითონეთა . .	13,6	7,7	8,9
ფეიქართა . .	11,0	9,8	4,5
გემო-კვების .	10,6	10,0	7,1
დაბალთა . .	7,8	7,1	8,2
წყლოსანთა. . . .	7,7	9,2	4,5
ნამების მუშაკთა .	6,7	5,6	5,9
ქიმიკოსთა	6,1	6,9	6,3
კომუნალური მეურნეობა . .	5,5	4,5	4,1
მკერავთა . .	4,6	7,5	6,3
ხელოვანთა .	4,5	3,3	4,0
განათლების . .	4,4	3,7	3,6
მედსანშრომის .	4,1	2,8	3,0
რკინის გზელთა .	3,9	4,2	3,9
სამთა-მადნო	3,9	2,7	2,2
საბჭოთა და სავაჭრ. . .	3,7	3,5	4,3
ადგილ. ტრანსპორტის . . .	2,9	4,0	4,8
მეხეოსნენი . . .	2,8	3,5	3,6
სახალხო კვების	2,1	2,3	3,0
სასოფლო მეურნეობის .	1,0	0,4	0,4
აღმშენებელთა . .	0,8	0,8	1,0
სულ . .	4,5	3,6	3,5

დაზღვეულთა რიცხვი კავშირების მიხედვით აღებულია თითოეული წლის ოქტომბერის 1 რიცხვისათვის და დამსვენებელთა რიცხვი ამ რიცხვთან არის შეფარებული.

ერთ დამსვენებელზე საშუალოდ იხარჯებოდა (ორ კვირაზე):

1925	წელში .	. 35	მან.	54	კაპ.
1926	„	. 37	„	00	„
1927	„	. 37	„	49	„
1928	„	. 37	„	50	„

ს ა ნ ა ტ ო რ ი უ მ ე ბ ი.

სანატორიული მკურნალობით უმთავრესად ქრონიკული სნეულებით დაავადებული მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ. სანატორიუმში მკურნალობის ხანგრძლიობა თვე ნახევარს უდრის.

სანატორიული მკურნალობით ისარგებლა:

1924	წ.	706	კაცმა,	ე. ი.	ყოველ 1000	დაზღ.	8,6 კაც.
1925	„	1013	„	„	„	„	12,4
1926	„	1048	„	„			10,7 „
1927	„	1096	„	„		„	10,6 „
1928	„	1000	„	„	„	„	8,8 „

IX. საბჭოთა სოციალური დაზღვევის ფინანსიური სისტემა

საბჭოთა სოციალური დაზღვევის ფინანსიური სისტემა აგებულია შემდეგ საფუძველზე:

1. სოციალური დაზღვევისათვის საჭირო თანხებს მხოლოდ დამქირავებელი იხდის, ე. ი. როგორც თვით დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი, ისე სახელმწიფო ხაზინა განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან.

2. დაზღვევის ტარიფის ოდენობას ჩვენი კანონმდებლობა წარმოების თითოეული დარგის საშიშროება—მავნებლობის მიხედვით საზღვრავს, ე. ი. რამდენადაც დიდია მავნებლობა-საშიშროება მუშა-მოსამსახურის ჯანმრთელობისათვის. წარმოების ამა თუ იმ დარგში, იმდენად დიდია დაზღვევის ტარიფის ოდენობა ამ დარგვისათვის.

მაგალითად, 1922 წლის თებერვლის კანონის მიხედვით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები ოთხ მთავარ ჯგუფად იყო დანაწილებული. წარმოება-დაწესებულებანი, მიკუთვნებულნი საშიშროება-მავნებლობის **პირველ ჯგუფისათვის**, სოციალური დაზღვევის საჭიროებისათვის იხდიდენ დაზღვეულებზე გაცემული ხელფასიდან 21%. მიკუთვნებულნი **მეორე ჯგუფზე**—23½%, **მესამე**

ჯგუფზე—26% და მეოთხე ჯგუფზე—28½%. მაგრამ სახალხო მეურნეობამ ვერ აიტანა ასეთი ოდენობის ტარიფი და 1923 წლის მარტიდან შემოღებული იქნა დაზღვევის შემდეგი ტარიფი.

I	ჯგ.	წარმ.-დაწესებ.—16%	გაცემულ	ხელფ.	ჯამიდან
II	„	„ 18%	„	„	„
III	„	„ 20%	„	„	„
IV	„	„ 22%	„	„	„

3. 1925 წლიდან დაზღვევის ტარიფის ოდენობის განსაზღვრას საფუძველად დაედო გარდა საშიშროება-მავნებლობის ხარისხისა, აგრეთვე წარმოების ამა თუ იმ დარგის ფინანსიური შემძლეობა.

სახელმწიფო მართვა-გამგებლობის აპარატი და წარმოების ის დარგები, რომელნიც სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან და დეფიციტს იძლევიან. დაზღვევის შესატანს იხდიან ეგრეთ წოდებულ „შეღავათიანი ტარიფის“ მიხედვით, ანუ დაზღვევის ტარიფი მათთვის განსაზღრულია 10% რაოდენობით.

4. შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1927 წლის თებერვლიდან სეზონურ და დროებით სამუშაოებზე დაქირავებულ პირთათვის დააწესა ნაწილობრივი დაზღვევის ტარიფი. ასეთ სამუშაოებისათვის შემოღებული დაზღვევის ტარიფის ოდენობა განისაზღვრება სამუშაო ხელფასიდან 9,1%-დან 0,25%-დე.

5. გარდა ამისა, 1928 წლის მარტიდან საამშენებლო დარგის სამუშაოებებზე გავრცელებულ იქმნა ნორმალურ

ტარიფის ნაცვლად ახალი შეღავათიანი დაზღვევის ტარიფი 7% რაოდენობისა.

ამნაირად, დაწყებული 1923 წლიდან დაზღვევის საშუალო ტარიფი ოანდათან მცირდება, რაც აშკარათა სჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილიდან.

დაზღვევის საშუალო ტარიფის მოძრაობა წლებისა და მეოთხედების მიხედვით.

საანგარიშო თარიღი	საბ. სოც. რესპ. კავშ.				მ. შ. საქართველო			
	I მეოთ.	II მეოთ.	III მეოთ.	IV მეოთ	I მეოთ.	II მეოთ.	III მეოთ	IV მეოთ.
1924-25 წ.	15,48	14,95	13,94	15,65	13,85	13,87	13,62	13,55
1925-26 წ.	13,70	13,52	13,38	13,09	13,34	13,54	13,09	13,24
1926-27 წ.	13,18	13,22	13,12	12,86	12,69	12,77	12,59	12,47
1927-28 წ.	—	—	—	—	12,50	12,50	12,20	12,00

1923 წლამდე დაზღვევის საშუალო ტარიფი უდრიდა კავშირის მასშტაბით 22,5%. 1923 წლის პირველ ნახევარში—16,3%, ხოლო ამავე წლის დასასრულს კი — 15,7% რაც შეეხება დანარჩენ წლებს, დაზღვევის საშუალო ტარიფი კიდევ უფრო ჩქარი ტემპით ეშვება ძირს.

რამდენადაც დიდი იყო დაზღვევის საშუალო ტარიფი, იმდენად დიდი თანხა რჩებოდა წარმოება-დაწესებულებებზე დავალიანების სახით. დამზღვევი ორგანოები,

მიუხედავათ სასტიკი ზომების მიღებისა, ვერ ახერხებდენ კუთვნილი თანხის მთელი 100%-ით აკრეფვას, მაგრამ რამდენადაც მცირდებოდა დაზღვევის ტარიფის საშუალო ოდენობა, იმდენათ იზრდებოდა ფაქტიურად აკრეფილი თანხის პროცენტი.

მოვიყვანთ აქვე სათანადო ცნობებს საქართველოს დამზღვევი ორგანოების შესახებ.

საანგარიშო თარიღი	უნდა შემოსულიყო (მანეთებში)	ფაქტიურად შემოვიდა (მანეთებში)	ფაქტ. შემოსული თანხის %-ები შეფ. კუთვ. თანხის
1924/25 საოპ. წელი . .	7.069429	5.302072	75,0
1925/26 „ „	8.658727	7.400621	85,5
1926/27 „ „ .	9.645971	9.108566	94,4
1927/28 „ „ .	11.102836	11.097333	99,9

სოციალურ დაზღვევის თანხების განაწილება ფონდების მიხედვით.

სოციალური დაზღვევის თანხები, თანახმად არსებული კანონმდებლობისა, ოთხი მთავარი ფონდის მიხედვით ნაწილდება. თითოეულ ფონდს თავისი სპეციალური დანიშნულება აქვს.

1. დამზღვევი კასსის ფონდი. ამ ფონდში გადარიცხული თანხის დანიშნულებას შეადგენს დაზღვეულ მუშამოსამსახურეთა უზრუნველყოფა:

ა) მუშაობის უნარის დრიებით დაკარგვის შემთხ-ვევაში,

ბ) ინვალიდობის დროს,

გ) როცა დაზღვეული მუშა-მოსამსახურე უმუშევარი რჩება,

დ) გარდაცვალების შემთხვევებში ქვრივ-ობოლთა პენსიით უზრუნველყოფა,

ე) მშობიარობის შემთხვევებში ახლად შობილის მოსავლელად და საკვებად დახმარების გაცემა,

ვ) გარდაცვალების შემთხვევებში დასამარხი ხარ-ჯების ანაზღაურება,

ზ) პროფილაქტიური დახმარების აღმოჩენა,

და თ) სოციალური დაზღვევის მოსაწყობად საორ-განიზაციო ხარჯების გაწევა.

ამ ფონდში გადარიცხული თანხა, დამზღვევი კასსის სრულ გამგებლობაში იმყოფება.

2. საექიმო დახმარების ფონდი. ამ ფონდში გადა-რიცხული თანხა იხარჯება დაზღვეულთა და მათი ოჯა-ხის წევრების მკურნალობა-ექიმობაზე. ვინაიდან მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს ჯანმრთელობის ორ-განოები განაგებენ, ამ ფონდში გადარიცხული თანხა ჯანმრთელობის ორგანოების სრულ განკარგულებაში იმ-ყოფება და დაზღვეულთა საექიმო სამკურნალო საქმის მოწყობის პასუხისმგებლობაც ჯანმრთელობის ორგანოებს ეკისრებათ.

3. დამზღვევი ორგანოების სათადარიგო ფონდი. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე დამზღვევი კასსა თავისი

საკუთარი შემოსავლით ვერ დაჰფარავს გასავალს, დეფიციტის დასაფარავად ამ ფონდიდან ეძლევა მას დოტაცია. სათადარიგო ფონდში გადარიცხულ თანხას განაგებს სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მასშტაბით.

4. მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდი. ამ ფონდში გადარიცხული თანხა ხმარდება მუშათა ბინების აღმშენებლობას სამრეწველო რაიონებში. მართალია, ამ ფონდს უშუალო კავშირი არა აქვს სოციალური დაზღვევის პირდაპირ ამოცანებთან, მაგრამ, ვინაიდან დაზღვეული მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობის გაუმჯობესება გავლენას მოახდენს დაზღვევის რისკის სხვადასხვა სახების შენელებაზე და ამით შეამცირებს დამზღვევი ორგანოების ხარჯებს, ამიტომ ამ ფონდში დამზღვევ ორგანოებსაც შეაქვთ თავისი წვლილი. საქართველოს დამზღვევი ორგანოები ამ ფონდში თანხების გადარიცხვას მხოლოდ 1926-1927 წლიდან შეუდგენ.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ერთის მხრით დამზღვევი ორგანოების შემოსავლის ყოველწლიურ ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ თვითეული ფონდის ხვედრითი წონის მოძრაობას წლების მიხედვით.

შემოსავლის საერთო ჯამი 1927-28 წ. 1924-25 წლიდან შედარებით, 114,4%-ით გაიზარდა. აბსოლუტურ რიცხვებში გაიზარდა აგრეთვე დამზღვევი კასსის ფონდიც.

მაგრამ, დამზღვევი კასსის ფონდის წონა, 1924-25 წელთან შედარებით შემდეგ წლებში თანდათან კლებულობს. მაგალითად, თუ 1924-25 საოპერაციო წელში დამზღვევ ორგანოებში შემოსულ საერთო ჯამიდან დამზღვევი კასსის ფონდში გადაირიცხა 68,8%, 1927-28 საოპერაციო წელში გადარიცხულია მხოლოდ 65,8%. დამზღვევი კასსის ფონდის ხვედრითი წონის შემცირება გამოწვეულია ერთის მხრივ საექიმო დახმარების ფონდის ხვედრითი წონის გაზრდით, ხოლო მეორეს მხრით მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდში განსაზღვრული თანხების გადარიცხვით.

მაგრამ, თუ მიუხედავად ამისა დამზღვევი კასსის ფონდი მაინც ყოველწლიურ ზრდას იძლევა აბსოლუტურ რიცხვებში, ეს აიხსნება ერთის მხრივ დაზღვეულთა რიცხვის ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ, დაზღვეულთა საშუალო სამუშაო ხელფასის თანდათანი გადიდებით.

მაგალითად, თუ ავიღებთ როგორც დაზღვეულთა რიცხვის, ისე მათი საშუალო თვიური ხელფასის წლების მიხედვით მოძრაობას, ასეთ სურათს მივიღებთ:

საანგარიშო თარიღი	დაზღვეულთა		თვიური საშ. ხელფასი	
	აბსოლუტური რიცხ.	%%-ში წინა წელთან	მანეთებში	%%-ში წინა წელთან
1924/25 წელი . .	81482	—	47-90	—
1925/26 „ .	97800	120,0	54-96	114,7
1926/27 „	106893	109,3	60-86	110,7
1927/28 „ .	114267	106,9	66-20	108,8

დამზღვევი ორგანოებს საღსრების ფონდების მიხედვით დანაწილება.
(დასაზღვევი გადასახადი, საურავი, ჯარიმა და %% კაპიტალზე)

ცხრ. № 28.

საანგარიშო თარიღი	შემოსული თანხის მთელი ჯამი	ამ თანხიდან გადაირიცხა:							
		დამზღვევი კასსის ფონდში		საექიმო ღახმარების ფონდში		ცენტრალურ ფონდებში		მუშათა საბინაო აღმშენ. ფონდში	
		აბსოლუტური (მან.)	%% ჯამთან	აბსოლუტური (მან.)	%% ჯამთან	აბსოლუტური (მან.)	%% ჯამთან	აბსოლუტური (მან.)	%% ჯამთან
1924/25 წ. .	5.30272	3.645460	6[illegible],8	1.258290	23,7	398322	7,5	—	—
1925/26 .	7.400621	4.940227	66,8	1.922632	25,9	537762	7,3	—	—
1926/27 „ .	9.108566	5.900792	64,8	2.270221	24,9	653615	7,2	283938	3,1
1927/28 „ .	11.367966	7.476005	65,8	2.782723	24,5	791719	7,0	417519	3,7

3. დამზღვევი ორგანოების გასავალი.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ყოველგვარ ხარჯებს, როგორც საოპერაციოს, ისე საორგანიზაციო და საგანგებოს, დამზღვევი ორგანოები აწარმოებენ იმ თანხებიდან, რომელნიც, თანახმად ფონდების შესახებ არსებულ დებულებისა, ირიცხება დამ'ხღვევი კასსის ფონდში.

როდესაც ამ ფონდში გადარიცხული თანხები ჰფარავენ ყოველგვარ ხარჯებს ეს იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა მტკიცეა, რომ მათ შეუძლიათ შეუფერხებლად აწარმოონ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფა.

როგორია ამ მხრივ საქართველოს დამზღვევი ორგანოების მდგომარეობა?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან ქვემოთ მოყვანილი ცნობები.

საანგარიშო თარიღი	შემოვიდა დამზღვევი კასსის ფონ. (მანეთებში)	ფაქტიურად დაიხარჯა (მანეთებში)	შემოსავალი ხარჯებზე გასავალ.	გასავალი ხარჯებზე შემოსავალ.
1924-25 წ. .	3.645.460	3.574.727	70.733	—
1925-26 „ .	4.940.227	5.750.355	—	810.128
1926-27 „ .	5.900.792	6.753.489	—	852.697
1927-28 „	7.476.005	9 068.651	—	1.592.646

ამნაირად, საქართველოს დამზღვევ ორგანოებს მხოლოდ 1924-25 საოპერაციო წელში ჰქონდათ ისეთი მდგომარეობა, როცა საკუთარი თანხებით დაჰფარეს ყო-

ველგვარი ხარჯები და ნაშთის სახით დარჩათ თავისუფალი თანხა 70.733 მანეთი. რაც შეეხება დანარჩენ წლებს საქართველოს დამზღვევი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა მწვავდება. დამზღვევი კასსის ფონდი ველარ ჰფარავს გასავლის ჯამს. 1925-26 საოპერაციო წელში გასავალი აღემატება შემოსავალის 16,4%-ით 1926-27 წელში 14,5% და 1927-28 წელში კი დეფიციტი უკვე 21,3% აღწევს.

4. დეფიციტის მიზეზები.

საქართველოს დამზღვევი ორგანოების დეფიციტიანობა გამოწვეულია ორი მთავარი მიზეზი.

პირველი—დაწყებული 1924-25 წლიდან, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა მე-111 გვერდზე მოყვანილ ცნობებში, დაზღვევის საშუალო ტარიფი თანდათან ეცემა. მაგალითად, თუ 1924-25 წლის უკანასნელ მეოთხედში გაცემული ხელფასის ყოველ მანეთიდან დამზღვევ ორგანოებს შემოდიოდათ 13,55 კაპეიკის, 1927-28 წლის ამავე თარიღისათვის მხოლოდ 12 კაპეიკი ეძლევათ. ანუ ყოველ ერთ მილიონ გაცემულ ხელფასიდან 1927-28 წელში საქართველოს დამზღვევ ორგანოებს 15.500 მანეთით ნაკლები შემოსდით, ვიდრე ეს 1924-25 წელში იყო. მაშასადამე, 1927-28 წელში ჩვენ დავკარგეთ დაზღვევის ტარიფის შემცირების გამო დაახლოვებით. 1.4/2.500 მ. გარდა ამისა 1924-25 წელთან შედარებით შემცირდა დამზღვევი კასსის ფონდის ხვედრითი წონა. თუ, მაგალი-

თად ყოველ 100 მანეთიდან, რომელიც დამზღვევ ორგანოებში შემოდიოდა 1924-25 საოპერაციო წელში დამზღვევი კასსის ფონდში გადადიოდა 68 მან. 80 კაპ., 1927-28 წელში ეს თანხა მხოლოდ 65 მ. 80 კ. უდრის. დამზღვევი კასსის ფონდის ხვედრითი წონის შემცირების გამო, საქართველოს დამზღვევი ორგანოების საოპერაციო-საორგანიზაციო ხარჯების ფონდს დააკლდა 345156 მ. ამნაირად, ერთის მხრივ დაზღვევის ტარიფის შემცირებამ, ხოლო მეორეს მხრივ დამზღვევი კასსის ფონდის ხვედრითი წონის დაცემამ გამოიწვია საქართველოს დამზღვევი ორგანოების ფინანსიური ბაზის შესუსტება 15,4 პროცენტით.

მეორე მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი დამზღვევი ორგანოების დეფიციტიანობას, ეს არის ერთის მხრივ **პასიურ** დაზღვეულთა რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეების მაჩვენებულთა სიდიდე.

მაგალითად, 1924-25 წელთან შედარებით 1927-28 წელში გაიზარდა:

1. პენსიონერთა რიცხვის მაჩვენებელი . 78,2%
2. უმუშევართა . 93,8 „
3. ანაზღაურებელი დღეების მაჩვენებელი . 13,4 „
4. თვიური პენსიის ოდენობა . 113,6 „
5. უმუშევართა თვიურ დახმარების ნორმა . 177,3 „

აი, ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც მიიყვანეს საქართველოს დამზღვევი ორგანოები მწვავე ფინანსიურ მდგომარეობამდე. აშკარაა, ასეთ პირობებში დამზღვევი კასსის ფონდი ვერ დაჰფარავდა იმ ხარჯებს, რომლის გაწევაც ევალებოდათ ჩვენს დამზღვევ ორგანოებს და ისინი იძულებული იყვნენ, რომ შეუფერხებლათ ეწარმოებიათ დაზღვეულ მუშა-მოსაქსახურეთა უზრუნველყოფა, გადახარჯვა დაეფარათ სხვა ფონდებიდან, თუმცა ფონდების შესახებ არსებული დებულების თანახმად ამის უფლება არა ჰქონდათ.

1928 წლის ოქტომბრის 1 რიცხვისათვის საქართველოს დამზღვევ ორგანოებზე ითვლება დავალიანება:

1.	სოცდაზღვ. საკავშ. სათადარიგო ფონდ.	709.641 მან.
2.	საექ. ფონ. (როგორც ადგილ. ისე საკავშ)	266.908 „
3.	მუშათა საბინაო აღმშენებლობის	619.644 „
	სულ .	1.596.193 მან.

აი, ის თანხები, რომლიდანაც დაფარული იყო 1927-28 წლის დეფიციტი.

ამნაირად, რომ საქართველოს დამზღვევმა ორგანოებმა შესძლონ საკუთარი თანხებით გასავლის დაჰფარვა, ამისათვის საჭიროა, რომ დაზღვევის საშუალო ტარიფი აყვანილი იქნეს დაახლოვებით 14,0%. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დამზღვევი ორგანოები იძულებული იქნებიან დეფიციტის დასაფარავად მიმართონ სოცდაზღვევის საკავშირო სათადარიგო ფონდს.

5. დამზღვევი ორგანოების ხარჯების განაწილება დახმარების სახეების მიხედვით.

ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რას უდრიდა საქართველოს დამზღვევი ორგანოების საერთო გასავალი წლების მიხედვით. ეხლა კი მოვიყვანთ ცნობებს, თუ უზრუნველყოფის რომელ სახეზე რამდენი იხარჯებოდა თითოეულ აქ განხილულ წლებში.

როგორც ქვემოთ მოყვანილ ცხრილიდან დავინახავთ, 1924-25 წელთან შედარებით 1927-28 წელში ხარჯები გაიზარდა:

მუშაობის უნარის დროებ. დაკარგვაზე .	119,4	%-ით
პენსიონერების უზრუნველყოფაზე . .	481,9	„
უმუშევართა უზრუნველყოფაზე .	789,6	„
დახმარების დამატებით სახეებზე .	80,2	„
პროფილაქტ. გაწეულმა ხარჯ. დაიკლო .	20,3	„
საორგანიზაციო ხარჯები გაიზარდა .	29,1	„
დანარჩენი ხარჯები .	305,7	„

დამზღვევი ორგანოების ხარჯების განაწილება დახმარების სახეების მიხედვით. (მანეთებში)

დაზღვევის სახეები	1924-25 წ.	1925-26 წ.	1926-27 წ.	1927-28 წ.
მუშაობის უნარის დროებით დაკ. .	1.493714	2.326826	2.778811	3.276952
პენსიონ. უზრუნველყოფა . . .	323853	724137	1.210057	1.874190
უმუშევ. უზრუნველყოფა . .	182903	472221	660017	1.627078
დახმარების დამატებითი სახეები .	586228	1.103275	1.074674	1.056416
პროფილაქტიკა .	522005	371640	451938	416023
დანარჩენი ხარჯები	78135	233657	44000	317032
საორგანიზაციო ხარჯები .	387889	518599	533992	499600
ს უ ლ .	3.574727	5.750355	6.753489	9.068651

უზრუნველყოფის თვითეულ სახეზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა.

დაზღვევის სახეები	1924-25 წ.	1925-26 წ.	1926-27 წ.	1927-28 წ.
	%%-ში იმავე წლის საერთო ჯამთან			
მუშაობის უნარის დროებით დაკარგვა	41,8	40,5	41,1	36,1
პენსიონერების უზრუნველყოფა . .	8·8	12,5	17,8	20,7
უმუშევართა უზრუნველყოფა .	5,1	8,0	8,8	17,9
დახმარების დამატებით სახეები .	16,4	19,2	15,9	11,7
პროფილაქ. (დასასვენებელი სახ. და სხვ.	14,6	6,5	6,7	4,6
დანარჩენი საოპერაციო ხარჯები .	2,4	4,3	1,8	3,5
საორგანიზაც. ხარჯები .	10,9	9,0	7,9	5,5
	100,0	100,0	100,0	100,0

როცა უზრუნველყოფის თითოეულ სახეზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონის მოძრაობას ვაკვირდებით წლების მიხედვით, ჩვენს ყურადღებას იქცევს პენსიონერთა და უმუშევართა უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ფრიად ჩქარი ტემპით ზრდა. განსაკუთრებით დი-

დია ეს ზრდა 1927-28 საოპერაციო წელში უმუშევრობისაგან დაზღვევის დარგში, რაც აიხსნება ახალი კანონმდებლობით, რომელმაც ერთის მხრივ გააფართოვა უმუშევრობისაგან დასაზღვევ პირთა წრე, ხოლო მეორეს მხრივ გაადიდა თვიურ დახმარების ნორმა.

რაც შეეხება უზრუნველყოფის დანარჩენ სახეებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონის მოძრაობას, თვალსაჩინო შემცირებას იძლევა დახმარების დამატებით სახეებზე გაწეული ხარჯები და აგრეთვე ხარჯები, გაწეული პროფილაქტიკაზე. დახმარების დამატებით სახეებზე გაწეული ხარჯების შემცირება გამოწვეულია ერთის მხრით დახმარებათა ნორმების შემცირებით, ხოლო მეორეს მხრით ამ ნაშრომის მე-87 გვერდზე მოყვანილი მიზეზებით. რაც შეეხება პროფილაქტიკაზე გაწეული ხარჯების შემცირებას, ეს გამოწვეულია დამხღვევი ორგანოების მწვავე ფინანსიური მდგომარეობით.

დაწყებული 1925-26 წლიდან თანდათან მცირდება საორგანიზაციო ხარჯების ხვედრითი წონაც. 1927-28 წელში 1924-25 წელთან შედარებით იგი თითქმის ერთი ორად შემცირდა.

6. ხარჯების განაწილება დაზღვეულთა კატეგორიების მიხედვით.

ქვემოდ მოყვანილ ცხრილში გამოანგარიშებული არის, თუ რას უდრის, როგორც ფულადი, ისე სხვა სახის დახმარებათა ჯამი, რომელსაც საშუალოდ წელიწადში ღებულობს

ერთი დაზღვეული სოციალური დაზღვევიდან. დახმარებათა ჯამში შეტანილი არის, როგორც საოპერაციო დასაორგანიზაციო ხარჯები, გაწეული დამზღვევი ორგანოების მიერ, ისე საექიმო დახმარების აღმოსაჩენად გაცემული თანხები. ჩვენს განხრახვას შეადგენდა დახმარებათა ჯამი საშუალოთ ერთ დაზღვეულზე გამოგვეანგარიშებინა დაზღვეულთა კატეგორიების მიხედვით. ამ მიზნით დახმარების ძირითად და დამატებით სახეებზე გაწეული ხარჯები ამოღებულია დამზღვევი ორგანოების ფინანსიურ ანგარიშებიდან, სადაც დახმარებათა ამ სახეებზე გაწეული ხარჯები დაზღვეულთა თითოეული კატეგორიისათვის ცალცალკე ჯამდება, ხოლო რაც შეეხება საორგანიზაციო ხარჯებს და საექიმო დახმარებას—ეს ხარჯები განაწილებული არის დაზღვეულთა ყველა კატეგორიებზე პროპორციონალურად. პროფილაქტიკაზე და საექიმო საკონტროლო კომისიებზე გაწეული ხარჯები ჩვენ მივაკუთვნეთ მხოლოდ აქტიურ დაზღვეულებს. საექიმო-საექსპერტო ბიუროს ხარჯები პენსიონერებს, ხოლო შრომითი დახმარების ხარჯები—უმუშევრებს. დახმარებათა ჯამი შეიცავს ოთხ სახეს: ა) **ფულადი დახმარება ხელზე,** ანუ თანხა, რომელიც მიეცა დაზღვეულს და მის ოჯახის წევრებს დამზღვევი კასსიდან ფულად, ბ) **საექიმო დახმარება და პროფილაქტიკა.** დახმარების ეს ორი სახე ჩვენ გავაერთიანეთ, ვინაიდან, როგორც საექიმო დახმარება, ისე პროფილაქტიკა ეს იგივეა, რაც ფულადი დახმარება, ხოლო ნატურის სახით. დაზღვეულის ბიუჯეტზე ერთსა და იმავე გავლენას ახდენს დახმარების ყველა ეს სახეები.

გ) სხვადასავა ხარჯები. ამ თანხაში შეტანილია ისეთი ხარჯები, რომელიც, მართალია, დაზღვეულზე არის დახარჯული, მაგრამ დაზღვეულის ბიუჯეტზე არ ახდენს გავლენას. მაგალითად, საექიმო საკონტროლო კომისიების ტ საექიმო ექსპერტიზის ბჯუროების შენახვა, მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდში გადარიცხული თანხები, საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გაცემული თანხა ტ სხ.

დ) საორგანიზაციო ხარჯებში შეძენილ ქონების ღირებულებიდან შეტანილია მხოლოდ ამორტიზაციით ჩამოწერილი თანხები.

ეს ოთხი სხვადასხვა სახის დახმარება, გაცემული საშუალოდ ერთ დაზღვეულზე, ჩვენ შეგვიძლია უფრო განვამარტივოთ. ავიღოთ ხარჯები, რომელიც პირადად დაზღვეულებს ხმარდებათ—ფულად, თუ ნატურით, ე. ი. ისეთი დახმარება, რომელიც დაზღვეულის ბიუჯეტში შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი და ვუწოდოთ—„პირდაპირი დახმარება". რაც შეეხება სხვადასხვა და საორგანიზაციო ხარჯებს, მათ ვუწოდოთ, „არა პირდაპირი დახმარება". თუ ასეთი მიდგომით გავანაწილებთ ერთი დაზღვეულის დახმარების ჯამს, ასეთ სურათს მივიღებთ.

საანგარიშო თარიღი	ერთ აქტიურ დაზღვეულზე		ერთ პენსიონერზე		ერთ უმუშევარზე	
	პირდ-პირი ხმარება	არა პირ-დაპირი ხმარ.	პირდ-პირი ხმარება	არა პირ-დაპირი ხმარ.	პირდ-პირი ხმარება	არა პირ-დაპირი ხმარ.
1924-25 წ. .	46-64	4-71	163-26	8-11	79-88	4-52
1925-26 „ .	56-12	7-25	244-35	7-00	110-05	7-00
1926-27 „ .	56-29	6-37	263-57	7-92	153-57	13-43
1927-28 „ .	62-36	8-88	303-01	8-96	206-51	16-23

ხარჯების განაწილება დაზღვეულთა კატეგორიების მიხედვით

დაზღვეულთა კატეგორიები	საანგარიშო თარიღი	ხარჯები სა.შ. ერთ დაზღვ. (მანეთებში და კაპ.)					%%-ში წინა წელთან
		ფულადი დახმარება ხელზე	საექიმო დახმარება და პროფილაქტიკა	სხვადასხვა ხარჯები	საორგანიზაციო ხარჯები	ს ე ნ	
აქტიურ დაზღვეულზე	1924-25 წ.	25-89	20-75	—24	4-47	51-35	100,0
	19 5-26 წ.	34-50	21-62	2-38	4-87	63-37	123,4
	1926-27 წ.	35-31	20-98	1-79	4-58	62-66	98,1
	1927-28 წ.	37-24	25-12	5-02	3-86	71-24	113,7
პენსიონერსზე	1924-25 წ.	148-91	14-35	3-64	4-47	171-37	100.0
	1925-26 წ.	226-53	17-82	2-13	4-87	251-35	146,7
	1926-27 წ.	246 82	16-75	3-24	4-68	271-49	108,0
	1927-28 წ.	281-54	21-47	5-12	3-86	311-99	114,9
უმუშევარზე	1924-25 წ.	65-55	14-35	—05	4-47	84-40	100,0
	1925-26 წ.	92-23	17-82	2-15	4-87	117-05	138,7
	1926-27 წ.	136-82	16-75	8-75	4-68	168-00	143 5
	1927-28 წ.	185-04	21-47	12-37	3-86	222-74	132,6

სოციალურ დაზღვევის უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების %-ლი შეფარდება დაზღვეულთა სამუშაო ხელფასის ფონდთან.

უზრუნველყოფის სახეები	1924-25 წ.	1925-26 წ.	1926-27 წ.	1927-28 წ.
ხარჯ. საერთო ჯამი (საექიმო დახმარების ჩათვლით) .	10,32	11,89	11,55	13,07
მათ შორის:				
მუშაობის უნარით დროებით დაკარგ.	3,19	3,61	4,84	3,62
პენსიონერთა უზრუნველყოფაზე . . .	0,69	1,14	1,55	2,07
უმუშევართა უზრუნველყოფაზე .	0,39	0,73	0,85	1,80
საექიმო დახმარებაზე	2,69	2,98	2,91	3,07

გ ე რ მ ა ნ ი ა

სოციალური დაზღვევის განვითარებას მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ხნის ისტორია აქვს და ეს ისტორია განუყრელად დაკავშირებულია კლასსთა ბრძოლის ისტორიასთან. თითოეული ნაბიჯი ამ დარგში, წინ გადადგმული, თითოეული უმნიშვნელო გამარჯვებაც კი—ნაყოფია მხოლოდ მუშათა კლასსის თავგანწირული ბრძოლისა. კაპიტალისტი ნებაყოფლობა—გულკეთილობით არასოდეს არ გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც შეამცირებს ზედმეტი ღირებულობის ნორმას, რომელსაც ის წარმოების პროცესში ისაკუთრებს. სოციალური დაზღვევა სწორედ ამ ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს მოითხოვს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სოციალური დაზღვევის განვითარების ისტორია გერმანიაში ამის აშკარა სურათს იძლევა. სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, გერმანიის მუშათა კლასსი ყველაზე ადრე დაადგა სწორ კლასსთა ბრძოლის გზას და ამიტომ არის კიდეც, რომ გერმანია სოციალური დაზღვევის სამშობლოდ ითვლება. გერმანიის მუშათა კლასსის მიხწევები სოციალური დაზღვევის დარგში მისაბაძი ხდე-

ბოდა დანარჩენი ქვეყნების მუშათა კლასისათვის, ისე, როგორც დღეს საბჭოთა სოციალური დაზღვევა გახდა.

მაგრამ სოციალური რისკის ყველა სახეებისაგან სავალდებულო დაზღვევა ერთსა და იმავე დროს როდი ყოფილა შემოღებული.

მაგალითად, მუშათა ავადმყოფობისაგან დაზღვევა შემოღებული იქნა 1883 წ., სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევებისაგან—ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1884 წ. ინვალიდობა—მოხუცებულობისაგან—1889 წ., ხოლო უმუშევრობისაგან—1924 წ.

რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში, უწყებულ წლებში გამოცემულ კანონებში მრავალი შესწორება—დამატება იქნა შეტანილი.

დაზღვეულთა წრე.

1. **ავადმყოფობისაგან** დაზღვეულია ყველა დაქირავებით მომუშავე, გარდა სასოფლო და სატყეო მეურნეობაში დაქირავებულ პირთა ზოგიერთი კატეგორიებისა. და აგრეთვე იმ მოსამსახურეებისა, რომელთა წლიური ჯამაგირი აღემატება 2700 მარკ. ანუ 1250 მანეთს.

2. **ინვალიდობა—მოხუცებულობისაგან** დაზღვეულია ყველა ფიზიკურათ და გონებრივათ მომუშავენი, თუ ამ უფლებით არ სარგებლობენ რომელიმე უწყებაში.

3. **უმუშევრობისაგან დაზღვეულია ყველა** ის პირები, რომლებზედაც ვრცელდება ავადმყოფობისაგან დაზღვევა. არ იზღვევიან მუშებიდან, რომლის ხელფასიც აღემატება 2700 მარკას, მოსამსახურებიდან 6000 მარკას.

ფინანსიური სისტემა.

1. ხარჯები, რომელსაც ავადმყოფობისაგან (მუშაობის უნარის დროებით დაკარგვისაგან) დაზღვევა მოითხოვს. იფარება დაზღვეულ მუშათა-მოსამსახურეთა და დამქირავებელთა გადასახადიდან. დაზღვეულები იხდიან 66²/₃%, ხოლო დამქირავებლები—33¹/₃%. რაც შეეხება სამუშაოზე მომხდარ უბედურ შემთხვევებს, მთელ გადასახადს მხოლოდ დამქირავებელნი იხდიან.

2. **ინვალიდობისაგან დაზღვევის ხარჯებს** თანასწორი რაოდენობით ჰფარავენ თვით დაზღვეულნი და დამქირავებლები. სახელმწიფო ხაზინა მხოლოთ განსაზღვრულ თანხას უმატებს დაზღვეულთა და დამქირავებელთა მიერ გამოღებულ ჯამს.

3. უმუშევრობისაგან დაზღვევის ფონდში დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ შეაქვთ თავისი ძირითადი ხელფასის 1½%, ამდენსავე უმატებს დამქირავებელი. ვინაიდან საშუამავლო ბჟუროებიც უმუშევრობისაგან დაზღვევის ფონდმა უნდა შეინახოს, ამ ორგანოების შესანახად გაწეული ხარჯების ⅓ იხდის სათემო მმართველობა და უმუშევართა

დასახმარებლად 1/9—1/6 ნაწილს. სახელმწიფო ხაზინა ეხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უმუშევრობის ფონდი ამოიწურება მასსიურ უმუშევრობის გამო.

დახმარების ნორმები.

1. **ავადმყოფობის შემთხვევებში.** დახმარების გაცემა იწყება ავადმყოფობის მეოთხე დღიდან და დღიური დახმარების ოდენობა შეადგენს სამუშაო ხელფასის ½—2/3.

2. **შრომის ინვალიდებს პენსია ეძლევათ** წელიწადში: ა) ძირითადი 168 მარკა, ბ) დამატებით პენსია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენჯერ და რამდენი გადასახადი აქვს შეტანილი საინვალიდო ფონდში (შეუძლია ბიილოს შეტანილი თანხის 20%) გ) სახელმწიფო ხაზინა აძლევს დამატების სახით 72 მარკას წელიწადში და გარდა ამისა ეძლევა დამზღვევი ორგანოების თანხებიდან. ოჯახური დანამატი ყოველ მცირე წლოვან (18 წ.) თითოეულ ოჯახის წევრზე—90 მარკას [1]) მოხუცებულობის გამო პენსია ენიშნება ისეთ პირს, რომელიც არა ნაკლები 65 წლისა არის. პენსიის ნორმა იგივეა, რაც შრომის ინვალიდის.

3. **უმუშევრობის შემთხვევაში** დახმარების ოდენობა გერმანიაში დამოკიდებულია ერთის მხრივ იმაზე, თუ რომელ ეკონომიურ ზოლზეა მიკუთვნებული უმუშევარი, რამდენი ხნისაა და როგორი ოჯახური მდგომა-

---

[1]) მარკა უდრის—46,3 კაპ.

რეობა აქვს. მაგალითად გერმანია გაყოფილია 3 ეკონომიურ ზოლად. პირველი ზოლის უმუშევარი, თუ იგი 21 წელზე უხნესია დღეში ღებულობს 138—111 პფენინგს [1]) ხოლო 21 წელზე უმცროსი—83—68 პფენინგს. გარდა ამისა, ოჯახური დანაშტის სახით ეძლევა დღეში—მეუღლისათვის 39—48 პფენინგი, ხოლო დანარჩენ ოჯახის წევრებისათვის—27—33 პფენინგამდე.

[1]) 100 პფენინგი=1 მარკას.

დაზღვეულთა რიცხვის მოძრაობა
(დაზღვევას ექვემდებარება)

წლები	ავადმყოფობის შემთხვევებში		პროფესიონ. დასახიჩრების შემთხვევებში		ინვალიდობ. და მოხუცების შემთხვევებ.	
	აბსოლუტური	%%-ში მოსახლ. რიცხვ.	აბსოლუტური	%%-ში მოსახლ. რიცხვ.	აბსოლუტური	%%-ში მოსახლ. რიცხვ.
1885 წელში . .	4.670.959	10,0	3.251.000	7,0	—	—
1891 „ .	7.342.958	14,8	16.515.000	33,2	11.490.220	23,1
1895 „ .	8.005.797	15,4	16.889.000	32,5	12.144.530	23,4
1900 „ .	10.159.155	18,1	17.392.000	31,0	13.015.100	23,2
1905 „ .	11.903.794	19,7	18.743.000	31,1	13.948.200	23,1
1910 „ .	13.953.900	21,6	24.153.000	37,4	15.659.700	24,2
1915 „ .	14.583.783	21,5	22.840.000	37,5	16.788.000	24,7
1920 „ .	18.779.610	30,4	23.500.000	38,1	16.800.000	27,6

[1]) აქ მოყვანილი ცნობები ამოღებულია ფ. დ. მარკუზონის ნაშრომიდან „Наемный труд на Западе в 1913—1925 г. г.

ინვალიდების რიცხვი 1000 დაზღვეულზე (ამ რიცხვში არ შედიან პროფდასახიჩრების ინვალიდები)

წლები	ინვალიდების რიცხვი რომელნიც		მოხუცებულების რიცხვი რომელნიც	
	ღებულობენ პენსიას	ამ წელში ჩაირიცხენ პენსიაზე	ღებულობენ პენსიას	ამ წელში ჩაირიცხენ პენსიაზე
1892 წელი	—	1,5	--	3,6
1897	19,0	6,1	18,1	1,8
1900	34,6	9,7	16,5	1,5
1905 „	61,5	8,8	- 11,2	0,8
1910 „	64,4	7,3	7,2	0,7
1915	67,4	6,0	—	0,7
1919 „	64,0	8,3	15,5	2,6

მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევები და ანაზღაურებული დღეების რიცხვი 100 დაზღვეულზე (მშობიაროობის გამოკლებით)

წ ლ ე ბ ი	შემთხვევათა რიცხვი			ანაზღაურებული დღეების რიცხვი		
	ბერ-ლინი	ლაიპ-ციგი	დრეზ-დენი	ბერ-ლინი	ლაიპ-ციგი	დრეზ-დენი
1913 წელი	41,0	43,6	33,2	—	1.134	947
1914 „	39,0	36,0	31,2	1.171	1.172	898
1915	28,7	27,4	19,7	871	776	562
1916	33,8	31,1	21,7	1.052	839	663
1917	39,4	38,1	27,6	1.230	1.036	860
1918	54,1	50,7	43,0	1.474	1.285	1.152
1919	38,8	29,6	24,9	1.234	911	833
1920 „	48,6	33,6	28,0	1 517	919	912
1921	50,7	35,9	31.1	1.569	1.085	1.093
1922	53,5	41,7	35,7	1.385	1.154	1.028

გერმანიის დამზღვევი კასსების გასავლის ბიუჯეტი 1924 წელში.

(ავადმყოფობისაგან დაზღვევა)

გასავლის სახეები	ხარჯები ერთ დაზ-ღვეულზე (მარკებში)	% ჯამთან
1. საექიმო დახმარება	**25.84**	**59,5**
ა) ჰონორარი საექიმო პერსონ.	13.96	32,1
ბ) მედიკამენტები აფთიაქებიდან	3.04	7,0
გ) დანარჩენი წამლეულობა	1.36	3,1
დ) სტაციონარული მკურნალობა	4.44	10,3
ე) მკურნალობა ბინაზე	0.40	0,9
ვ) ნატურის ნაცვლად ფულად	2.64	6,1
2. დახმარება ავადმყოფ. შემთხვ.	**11.76**	**27,1**
ა) მშობიარობის შემთხვევებში	1.48	3,4
ბ) საავადმყ. მოთ. შემცირებ. დახ.	0.32	0,7
3. დახმარების დამატებ. სახეები	**0.48**	**1,1**
ა) დასამარხი დახმარება დაზღვ.	0.40	0,9
ბ) „ „ ოჯ. წევ.	0.08	0,2
4. საორგანიზაციო ხარჯები	**3.76**	**8,7**
ა) პერსონალის შენახვა	3.12	7,2
ბ) ქონების შენახვა	0.64	1,5
5. საკავშირო გადასახადი	**0.20**	**0,5**
6. დანარჩენი ხარჯები	**1.32**	**3,1**
სულ	43 36	100,0

ლაიპციგის დამზღვევი კასსის გასავალის განაწილება უზრუნველყოფის სახეების მიხედვით.

უზრუნველყოფის სახეები	%%-ში გასავალი-ჯამთან		
	1914 წ.	1918 წ.	1922 წ.
1. დახმ. ავადმყოფობის შემთხვევებში . .	46,5	46,2	26,3
2. საექიმო დახმარება .	38,5	30,1	42,1
3. დახმ. გარდაცვალების შემთხვევებში .	1,9	2,6	1,1
4. საორგანიზაციო ხარჯები .	12,4	14,5	19,5
მ ა თ შ ო რ ი ს:			
ა) ავადმყოფობიდან დაზღვევამდე .	10,1	11,5	14,5
ბ) ინვალიდობაზე .	2,3	3,0	5,0
5. დანარჩენი ხარჯები . .	0,7	1,2	1,0

სოციალური დაზღვევის ღირებულება გერმანიაში სამუშაო ხელფასის ფონდთან შეფარდებით

დაზღვევის დარგი	ღამქირავებელი და მუშა იხდიან სოც. დაზღვევის შესატანი (%%-ში ხელფასთან)		
	დამქირავებელს შეაქვს	მუშას შეაქვს	ს უ ლ
1. ავადყოფობისაგან დაზღვევა	2,1	4,2	6,3
2. ინვალიდობისგან „	1,5	1,5	3,0
3. უმუშევრობისაგან	0,7	0,7	1,4
4. უბედური შემთხვევებისაგან	0,9	—	0,9
	5,2	6,4	11,6

ინგლისი

ავადმყოფობა-ინვალიდობისაგან დაზღვეულთა რიცხვი ინგლისში უელსის გამოკლებით.

საანგარიშო თარიღი	დაზღვეულთა რიცხვი				
	მამაკაცი		დედაკაცი		სულ
	დაზღვეულნი გადასახადით	გადასახად. განათვისუფ.	დაზღვეულნი გადასახადით	გადასახადი-დან განათვისუფ.	ორივე სქესის
1913 წელი	7.670.000	—	3.382.000	—	10.952.000
1914	7.971.000	19.000	3.420.000	12.000	11.422.000
1915	8.220.000	20.000	3.536.000	10.000	11.786.000
1916	8.574 000	20.000	3.866.000	10.000	12.470.000
1917	8.778.000	20.000	4.139.000	11.000	12.948.000
1918	8.955.000	20.000	4.430.000	12.000	13.426.000
1919	8.536.000	22.000	4.405.000	9.000	12.972.000
1920	8.421.000	30.000	4.327.000	9.000	12.787.000
1921	8.328.000	30.000	4.230.000	10.000	12.596.000
1922	8.345.000	30.000	4.232.000	10.000	12.617.000

ინგლისის კანონმდებლობა, იმ პირთ, რომელიც მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს ღებულობს, სოციალურ დაზღვევის გადასახადისაგან ანთავისუფლებს.

ინგლისის დამზღვევი კასსების გასავლის ბიუჯეტი წლების მიხედვით

გასავლის სახეები	%%-ში გასავლის ჯამთან				
	1919 წ.	1920 წ.	1921 წ.	1922 წ.	საშუალო 1914-1922 წ.
1. დახმ. ავადმყოფობის შემთხვევებში . .	25,7	23,3	27,1	31,2	28,8
2. დახმ. მშობიაროობის შემთხვევებში . .	6,0	7,3	6,6	6,1	6,8
3. დახმ. ინვალიდობის შემთხვევებში . .	7,0	7,4	10,1	12,5	7,9
4. საექიმო დახმარება	33,4	38,5	35,8	32,3	33,5
5. სასანიტარო დახმარება	5,1	3,9	1,9	0,5	3,5
6. სხვადასხვა საოპერ. ხარჯები	1,8	0,4	0,3	1,0	0,6
7. საორგანიზაციო ხარჯები .	21,0	19,2	18,2	16,4	18,9
სულ . .	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

დაზღვეულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან.

ქვეყნები	სავანგარიშო წელი	მოსახლეობის საერთო რიცხვი	დაზღვეულთა რიცხვი	%%-ში მოსახლეობის საერთო რიცხვი
1. გერმანია .	1921	60.758.180	19.028.736	31,3
2. ავსტრია .	1910	28.570.800	3.233.266	11,3
3. ინგლისი უელსიანად . .	1911	36 070.492	11.501.700	31,9
4. საფრანგეთი	1911	39.192 133	5.876 695	15,0
5. დანია .	1911	2.757.076	1.136.181	41,2
6. ნორვეგია .	1911	2.357.790	330.000	14,0
7. შვეიცარია .	1910	3.753.293	721.452	19,2
8. ვენგრია .	1910	20.886.487	1.203.834	5,8
9. საბ. კავშირი	1926	146.989.460	9.768.956	

შინაარსი

		გვ.
1.	წინასიტყვაობა .	3
2.	ავტორისაგან	11
3.	სოციალური დაზღვევის ორგანოები	18
4.	დაზღვეულთა რიცხვის მოძრაობა	27
5.	პენსიონერთა უზრუნველყოფა .	39
6.	უმუშევრობა	55
7.	მუშაობის უნარის დროებით დაკარგვა	68
8.	მშობიარობა	86
9.	სიკვდილიანობა	94
10.	დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები	103
11.	საბჭოთა სოციალური დაზღვევის ფინანსიური სისტემა	109
12.	სოციალური დაზღვევა უცხოეთში	. 132